საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციონო პარტია № 151 კვირა, იანვრის 21 (3) 1918 წ. № 151

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

უცხოეთის ელჩებმა პეტროგრადი დასტოვეს.—პეტროგრადში ანარქია უმწვერვალესამდე გამძაფრდა.—ლენინის [illegible] ამბავი არ გამართლდა,—კავკავის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და ეკატერინეს რკ. გზებზე გაფიცვებია პოლიტიკურ და ეკონომიურ ნიადაგზე.—დონის ოლქში ბრძოლაა ბოლშევიკ-უაზახებსა და კალედინელებს შორის.—განჯაში მდგომარეობა ძალიან გამწვავდა: რკინის გზის ლიანდაგი აყრილია.—ამიერკავკასიის საოლქო ცენტრის დადგენილებით ამ დღეებში გამოცხადდება მობილიზაცია 19—25 წლის ახალგაზრდობისა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—60 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან - 50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. თავართქილაძესთან „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ტელეგრ. ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

ფასი 20 კაპ.

ტელეფონი 12—29


კვირას, 21 იანვარს, გარდაცვალებიდან ნახევარი-წლის შესრულების გამო, ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

**კნეინა ანასტასია ალექსანდრეს ასულის**

**მაჩაბლის**

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის შვილები და და-ძმა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ. პანაშვიდი 11 საათზე დაიწყება. 92

შვილები თამარ და კოსტა, ძმები: ედემ და სარდიონ ტრაპაიძენი, ბიძაშვილნი ნიკო და ანდრო ტრაპაიძეები, ქვისლი ნიკოლოზ მუმლაძე, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 19 იანვარს გარდაიცვალა

**გიორგი ივანეს ძე ტრაპაიძე**

გამოსვენება დღეს, 21 იანვარს დილის 10 საათზე, სასტუმრო „მეტროპოლიდან“ (ნეკრასოვის ქ.) დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 94

ქართ: დრამა. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 28.

ორშაბათს, 22 იანვარს, 1918 წ.

ტფ. ქართ. დრამ. დ-ის მიერ წარმოდგენილ იქნება:

**ურიის სისხლი**

4 მოქ. ერ. ბერნშტეინისა, თარგ. შალვა დადიანისა

მონაწილეობენ ქ-ნი დავითაშვილი ნ., ბ-ნი: გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., იმნაძე გ., იმედაშვილი ა., თარალაშვილი ი., ქევიძე ი., კობახიძე ი., მაჭარაძე ვ., შალიკაშვილი ვ., ცუციშვილი ნ.

დასაწყისი საღამოს 7-ნახევარ ს. რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

28 იანვარს დანიშნული კოოპერატივ

**„მეურნე“-ს**

**ჩვეულებრივი წლიური კრება**

**განსახილველი საგნები:**

1. წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება,
2. 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება,
3. მიმდინარე საკითხები,
4. წესდების ძალით გასულ გამგეობის ორი წევრის არჩევა.

კრება მოხდება ახალ კლუბში, დილის 12 საათზე. 1051


## საქართველოს კოოპერატივების საყურადღებოდ

**საქართველოს ეროვნულ საბჭოს თაოსნობით 2 თებერვალს ტფილისის** გუბერნიაში (ქუთაისის გუბერნიას და ბათომის მიდამოების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული) მოწვეულია ყოველგვარ ტიპის (საკრედიტო, მწარმოებელი, გამსაღებელი და მომხმარებელი) **კოოპერატივების შეერთებული სამაზრო ყრილობა**. ყრილობას უნდა დაესწროს თვითოეულ კოოპერატივის, სარაიონო, სამაზრო, საქალაქო, საგუბერნიო და ამიერკავკასიის საკოოპერაციო კავშირების თითო წარმომადგენელი (შეიძლება მეტიც). განსახილველი საგანია:

1. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფინანსიური დახმარების აღმოჩენა,
2. საზოგადოდ კოოპერატივების მონაწილეობა ხალხში ფინანსიურ ორგანიზაციების შესაქმნელად ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ.

კრებები მოხდება ყველგან **2 თებერვალს**, ყველგან დილის სრულს 11 საათზე და დაესწრება ტფილისიდან საქ. ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი:

| **გორის** | **მაზრის კრება ქალაქ,** | **გორში საკრებულოს დარბაზში.** |
|---|---|---|
| **ზაქათალის** და **სიღნაღის.** | „ „ „ | სიღნაღის ქართულ კლუბის . . „ |
| **თელავის და თიანეთის** | „ „ „ | თელავში შემნახვ.-გამსესხ. ამხ. . „ |
| **ახალციხე-ახალქალაქის** | „ „ „ | ახალციხეში კოოპ. „მესხეთის“ — . „ |
| **ტფილისი** | „ „ „ | ტფილისში ეროვნ. საბჭოს „ |
| **დუშეთის** | „ „ „ | დუშეთში საკრებულოს . „ |

**კრების გადადება შეუძლებელია.** საბჭოს სექციის მოწოდება ყველა კოოპერატივს დაეგზავნა ფოსტით. თუ ფოსტის მიზეზის გამო რომელიმე კოოპერატივმა არ მიიღო მოწოდების ფურცელი, კოოპერატივებმა უნდა იხელმძღვანელონ გაზეთში მოთავსებულ განცხადებითაც და თავისი წარმომადგენელი **უეჭველად გაგზავნონ** კრებაზე დანიშნულ დროს და ადგილას.

1049 **ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.**


## თედო ღლონტის ლექცია

კვირას, 21 იანვარს პარტიულ კლუბში თ. ღლონტი წაიკითხავს საჯარო ლექციას

**აგრარული კაპიტალიზმი**

ადგილების ფასი 50 კ.—1 მან. 50 კაპ., ბილეთები იყიდება „სახალხო საქმის“ კანტორაში და პარტიულ კლუბში ძველი სემინარიის შენობა.

1042 დასაწყისი სწორედ საღამოს 7 საათზე.

## ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების

ჯარისკაცთა სექცია აუწყებს

როგორც მცხოვრებთ ისე დაშლილ ეშელონებს, რომელნიც კავკასიის ფრონტიდან რუსეთში მიემგზავრებიან, რომ მის სექციას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ეშელონების იარაღის აყრაში; წინააღმდეგ ის ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ამ ეშელონებისთვის არ აეყარათ იარაღი. 1052

## საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

აცხადებს, რომ კვირას, 21 იანვარს, დღის 1 საათზე დანიშნულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრთა კრება, საგანი კრებისა ამიერკავკასიის სეიმი და მიმდინარე საკითხებია.

კანდიდატებს შეუძლიანთ დასწრება. 1058

## ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აცხადებს ამავე კლუბის წევრთა საყურადღებოდ, რომ 21 იანვარს 1918 წელს შუადღის 12 საათზე კლუბის შენობაში დანიშნულია წევრთა წლიური

**საზოგადო კრება**

კრების საგანია: განხილვა და დამტკიცება 1917 წლის ანგარიშისა 1918 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა.

არჩევნები: მამასახლისთა და მათ კანდიდატთა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა, კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა და მიმდინარე საკითხები. 1038


## მოქალაქენო!

## აირჩიეთ სახლის კომიტეტები

მძიმე დროში ვცხოვრობთ, ტრანსპორტი შეწყდა და სურსათის საკითხიც უმწვერვალესამდე გამწვავდა. სურსათის მიღება რომ გაადვილდეს, აუცილებლად საჭიროა თვითეულ რაიონში მოქალაქეებმ თვითმოქმედება გამოიჩინონ. ამისთვის საჭიროა მოქალაქენი შეერთდნენ **სახლის ორგანიზაციებში**

რადგან მცხოვრებნი დარწმუნებულნი არ არიან, რომ იშოვიან **სურსათს** (და განსაკუთრებით **პურს**) და ეშინიან **უსურსათოდ** დარჩნენ, ისინი დუქნების გაღებამდე რამდენიმე საათის წინ რიგში დგებიან. ამ „კუდების“ თავიდან ასაცილებლად მოქალაქეთ უნდა შეადგინონ **სახლის ორგანიზაციები.**

უაზრო და უნაყოფო დგომა რიგში, საზიანოა არა მარტო კერძო ბინისთვის ან ოჯახისთვის, არამედ საზოგადოებისათვის. ვისაც უნდა ამ ბოროტებასთან ბრძოლა უნდა ხელი შეუწყოს **სახლის ორგანიზაციების კომიტეტების** შედგენას.

სხვა ქალაქებში არსებულ ორგანიზაციებმა მოსპეს ის გრძელი, გაუთავებელი „კუდები“ და ბოროტმოქმედება, სასურსათო ბარათების უკანონოდ მითვისებით რომ იყო გამოწვეული. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ გამოცდილებით რაც შეიძლება მალე შევადგინოთ **სახლის ორგანიზაციები.**

სახლის ორგანიზაციების მიზანი ფართოა და მოქალაქეთა თვითმოქმედებას და ინიციატივისაც ფართო **ხასიათს** აძლევს. ეჩქარეთ, გაეცნოთ მათ **და** მოითხოვეთ უფასოდ სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტი და ინსტრუქციები, თუ **როგორ შეიდგინოთ სახლის ორგანიზაციები.**

ვისთვისაც ხელსაყრელი არის გრძელი „კუდები“ და მოქალაქეთა აღშფოთება, ბოროტმოქმედება სურსათის დანაწილებაში ის სახლის ორგანიზაციების წინააღმდეგი იქნება. ნუ დაუჯერებთ მათ და **დაუყოვნებლივ შეუდექით სახლის ორგანიზაციების მოწყობას.**

სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტები, დაბეჭდილ ინსტრუქციების და განმარტებების მიღება შეიძლება საუბნო, საბარათო ბიუროში 9 საათიდან 1 საათამდე და 5—7 ს.

**შეერთდით სახლის ორგანიზაციებში და აირჩიეთ სახლის კომიტეტები.**

1918 წლის, იანვრის 12. 1025

## ინსტრუქცია

## სახლის კომიტეტების დასაარსებლად.

2—3 მცხოვრები (საინიციატივო ჯგუფი) იწვევს სახლის ყველა მცხოვრებთა კრებას, რასაც აცხადებენ ორი დღით ადრე და განცხადებას გამოჰკიდებენ დასანახ ადგილზე.

**შენიშვნა:** თუ სახლში 5 ბინაზე ნაკლებია, იწვევენ მეზობელ სახლთა მცხოვრებთ.

**ნიმუში უწყებისა**

**უწყება.**

ყველა მცხოვრები სახლში (სახლის პატრონის გვარი) №..... ქუჩაზე მოიწვევა საორგანიზაციო კრება ბინა №.... ამა და ამ საათზე, ამა და ამ რიცხვზე.

**საგანი სხდომისა:**

1) პროექტი სახლის ორგანიზაციისა.
2) სახლის კომიტეტის არჩევნები.

**საინიციატივო ჯგუფი.**

კრების დანიშვნა სჯობიან საღამოსათვის, ან კვირა დღეს.

კრებას ხსნის საინიციატივო ჯგუფის წევრი და წინადადებას იძლევა აირჩიონ თავმჯდომარე კრებისა და მდივანი. უკანასკნელი ჩასწერს გვარებს იქ მყოფთა და ბინების №№, სადაც ისინი სცხოვრობენ და აწარმოებს სხდომის ოქმებს.

თავმჯდომარის არჩევის შემდეგ საინიციატივო ჯგუფის რომელსამე წევრს ეძლევა სიტყვა და იგი კითხულობს სახლის ორგანიზაციათა პროექტს.

**შენიშვნა:** დაბეჭდილი პროექტები წესდებისა შეიძლება მიიღოთ საუბნო საბარათო ბიუროებში. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თავმჯდომარე წინადადებას იძლევა აირჩიონ კომიტეტის წევრთა იმდენი რიცხვი, როგორც წესდებაში იქნება.

კომიტეტის არჩევის შემდეგ დამსწრენი ხელს აწერენ განცხადებას სახლის კომიტეტის რეგისტრაციისათვის.

**ნიმუში განცხადებისა.**

საუბნო . . . სასურსათო კომიტეტს.

ამა და ამ ქ. № (სახლში მცხოვრებთა)

**განცხადება.**

ამით პატივი გვაქვს გაუწყოთ, რომ ჩვენ, ქვემორე ამისა ხელისმომწერნი შეკრიბებნით (რიცხვი და თვე) 1918 წ. ავირჩიეთ სახლის კომიტეტი (ამდენი და ამდენი კაცისაგან). სახელდობრ (სახელი და გვარები).

ხელის მოწერის ადგილი. 1039

## ინსტრუქცია სახლის კომიტეტს

1. საჭიროა, რაც შეიძლება მალე (პირველ თებერვლამდე) მიიღოთ პური სახლის კომიტეტის მოთხოვნით, ამისთვის საჭიროა მოსურველთ შეერთდნენ ამ დღეებში ჯგუფ-ჯგუფად პურის მისაღებად.

2. საჭიროა იმის გამორკვევა, თუ რომელ ფურნედანაა სასურველი პურის მიღება და წარუდგინოთ ამის შესახებ საუბნო სასურსათო კომიტეტის შემდეგი შინაარსის განცხადება:

**საუბნო სასურსათო კომიტეტს**

. . . . . სახლის კომიტეტისაგან . . . . . .

უბნის . . . . . ქუჩ. № . . .

**განცხადება.**

პატივი გვაქვს გთხოვოთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება პურის მოსაცემად სახლის კომიტეტის მოთხოვნით . . . . ფურნიდან . . . (რაოდენობა პურის) . . . . (ამდენი და ამდენი კაცისთვის).

თავმჯდომარე . , .

3. საჭიროა მოთხოვნის უწყებების შეძენა საუბნო სასურსათო კომიტეტში.

4. ხელმოწერილი განცხადება უმჯობესია თვითონ გაგზავნოთ ფურნეში და მეორე დღეს მოითხოვოთ პური მთელი ჯგუფისათვის (იხ. სავალდებულო დადგენილება 3 და 4)

5. საჭიროა თვითოეულ ბინას საკუთარი ჩანთა ჰქონდეს ბინის ნომრით ან ბინის დამქირავებულის გვარით, რომელშიც მეფურნე ჩააწყობს აღნიშნული ბინისთვის საჭირო პურს.

6. საჭიროა დაწესდეს რიგი ბინებისთვის, თუ როდის რომელი ბინის პატრონია (მორიგეობით) ვალდებული წავიდეს პურის მოსატანად და ეს წესი გამოკიდულ იქნას თვალსაჩინო ადგილას.

7. მორიგე ბინა ვალდებულია საღამოსვე, არა უგვიანეს 8 საათისა, მიიტანონ ჩანთა და ფული (ხურდა ფული, რომ მეფურნე არ დააბრკოლონ ფულის დახურდავებით).

8. სასურსათო ბარათების მიცემის დროს ყოველთვის საჭიროა თვალყური ადევნონ და შეამოწმონ ოჯახის შემადგენლობა თვითოეულ ბინის დამქირავლისა.

9. საუბნო საბარათო ბიურო ბარათებს მხოლოდ სახლის კომიტეტებს აძლევს.

10. სახლის კომიტეტები უდგენენ საუბნო საბარათო ბიუროს მოთხოვნების უწყებებს ბარათების მისაღებად და ამასთანავე ძველ გახმარებულ ბარათებს და სხვა აუცილებელ დოკუმენტებს.

**ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.** 1046


## დიდი ცირკი

## ძმ. ეფიმოვებისა



მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 21 იანვარს, გაიმართება ორი გრანდიოზული

**სადღესასწაულო წარმოდგენა**

დილით ბავშვებისთვის სრული საღამოს პროგრამით.

მონაწილეობენ კლოუნები, ჟონგლიორები, გაწვრთნილი ფრინველები. საღამოს ძმ. იონაშვები შეასრულებენ ახალ კომიკურ ანტრეს „სცენა სკულპტორთან“. მონაწილეობენ აგრეთვე ძიანოვი, ვლადიმიროვი, კამო, ვოიანი და სხვები. ჭიდაობს 5 წყვილი: 1. ხიდერ-ალი და ბახრუშვილი, 2. ხერბოკ როლანდი და ორლიანოვი, 3. [illegible] და [illegible], 4. მედლაური და ყარამანოვი, 5. იაგუარი და ჟილინი.

**ანონსი: სამშაბათს, 23 იანვარს,** გაიმართება რაიგოს ბენეფისი. მრავალი ახალი სანახაობა. ახლო მომავალში გაიხსნება საზამთრო სეზონი. 96

# სახლის ორგანიზაციათა წესდების პროექტი

**შემუშავებული სასურსათო გამგეობის საგანგებო კომისიისაგან.**

### 1. სახლის ორგანიზაციათა მიზანი:

1. შემსუბუქება სასურსათო კრიზისისა (ბრძოლა პურის, შაქრის და სხ. რიგებთან).

2, მოწესრიგება ბინის პატრონთა და სახლის პატრონთა ურთიერთობისა და ბინის პატრონთა და ბინის დამქირავებელთა დამოკიდებულებისა.

3. მოწესრიგება ბინის პატრონთა და მათ მოსამსახურეთა ურთიერთობისა.

4, სახლების სასანიტარო გაუმჯობესება.

5- ბრძოლა ბინის უშოვნილობასთან.

### 2. სახლის ორგანიზაციის შემადგენლობა.

სახლის ორგანიზაციის წევრად ითვლება ყველა, ვინც სახლის ტერიტორიაზე სცხოვრობს, 18 წელი შესრულებია და განსაზღვრულ საწევროს შემოიტანს.

### 3. სახლის ორგანიზაციის გამგენი.

სახლის ორგანიზაციის საქმეების ბატონ-პატრონია:

ა) საზოგადო კრება,

ბ) სახლის კომიტეტი.

საზოგადო კრება კანონიერია, თუ კი მას ესწრება ყველა წევრთა ერთი მეხუთედი ან ბინათა წარმომადგენლების ერთი მესამედი.

თუ ამდენი ვერ გამოცხადდა, ინიშნება მეორე საზოგადო კრება, არა უადრეს ორი დღისა, რომელიც კანონიერი იქნება, რამდენიც უნდა გამოცხადდეს.

საზოგადო კრება ირჩევს სახლის კომიტეტს (თავმჯდომარეს, მდივანს და სხვ. თანამდებობის პირთ თავის შორის ირჩევს სახლის კომიტეტი) და სარევიზიო კომისიას 3 პირისაგან, რომელნიც სახლის კომიტეტში არ შედიან.

საზოგადო კრება იმართება არა უმცირეს ერთისა თვეში.

გადაწყვეტილებანი მიიღება უბრალო ხმის უმეტესობით. თუ ხმები გაიყო, თავმჯდომარის ხმა სძლევს.

სახლის კომიტეტს აბარია სახლის ორგანიზაციათა საქმეები. ასრულებს საზოგადო კრების დადგენილებებს და თავის მოქმედების ანგარიშს აბარებს საზოგადო კრებას წელიწადში ორჯერ.

### 4. სახლის ორგანიზაციის საშუალებანი

1. საწევრო გადასახადს წევრი იხდის ყოველ თვე, აგრეთვე შესასვლელს, იმდენს, რამდენსაც სახლის მცხოვრებთა საზოგადო კრება დააწესებს.

2, შემოწირულებანი;

3. სპეციალურ მიზნებისთვის დადებული გადასახადი.

სახლის კომიტეტებს აქვთ თავიანთი ბეჭედი ქუჩის და სახლის ნომრის აღნიშვნით. 1040.

# სახლის კომიტეტები

ვინაიდან საჭიროა მოხდეს მცხოვრებთა შორის ფართო პოპულიარიზაცია შესახებ სასახლო ორგანიზაციებისა, ტფილისის ქალაქის გამგეობა მიმართავს თხოვნით ყველა საზოგადოებრივ და მთავრობის დაწესებულებებს, საბჭოებს, პარტიულ და დემოკრატიულ ორგანიზაციებს, საპროფესიო კავშირებს, კოოპერატივებს და სხვა დაწესებულებათ დაეხმარონ მას ხალხის კომიტეტების პოპულიარიზაციის და ორგანიზაციის საქმეში.

სახლის კომიტეტებისთვის საჭირო მასალა მოიპოვება ყველა უბნების საზარათო ბიუროებში.

1041 ტფილისის ქალაქის გამგეობა.

**ტფილისი, 21 იანვარი 1918 წ.**

**ამიერკავკასიის სეიმი**

ხვალ, 22 იანვარს სახაზინო თეატრში გაიმართება პირველი სხდომა იმ დეპუტატებისა, რომელნიც ამიერკავკასიაში აირჩა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის. ამ კრებულს უკვე განსაზღვრული სახელი, სეიმი უწოდეს. მართლაც მას რამდენიმე ფრიად დიდი საკითხი ექნება გადასაწყვეტი და ხსენებული თათბირი ამიერკავკასიის დეპუტატებისა დაიჩქარებს მათ ასე თუ ისე მოგვარებას. რასაკვირველია ის არაა ნამდვილად სეიმი, იგი დროებითი ორგანიზაცია უნდა იყვეს, რადგან სეიმი თუ ფედერალური საბჭო ამიერკავკასიის მხოლოდ მაშინ შეძლება დაარსდეს, როდესაც ცალკე ერები მოიწვევენ დამფუძნებელ კრებებს და შექმნიან საკუთარ მთავრობებს. მაგრამ რევოლიუციის პროცესში ყველაფერი დროებითია და ამიერკავკასიის სეიმსაც მცირე ხნით მოუხდება მოლვ წეობა იმ საქმეების მოსაგვარებლად, რომელნიც სრულიად ვერ აიტანენ რაიმე გადადებას. ასეთია ის წინასწარი მუშაობა, რაიც აუცილებელია ეროვნულ ერთეულთა შესაქმნელად. ასეთია, მაგალითად, გადაწყვეტა, შემოფარგვლა ეროვნულ ტერიტორიებისა, რის მოუგვარებლობაც აქამდე ბევრს რეფორმის განხორციელებას უშლიდა ხელს. ეს იქნება ჩაყრა საძირკვლისა ტერიტორიალურ ავტონომიების განსახორციელებლად. მეორე დიდი საკითხი, ეგრედ წოდებულ სეიმს რომ აქვს გადასაწყვეტი—ეს ზავის ჩამოგდებაა. თუ რამდენად საჭიროა დაუყოვნებლივ ზავი—ამაზე სიტყვის გაგრძელება არ მოგვიხდება. თვით ისინიც კი, ვინც თავზე კაკალს გვამტვრევდა იმ ორი კვირის წინად—სეპარატიული ზავი როგორ ახსენეთო—ეხლა თვითონ ადასტურებს ჩვენს ნათქვამს და მენშევიკების „ერთობა“ ამჟამად პირდაპირ აცხადებს: შექმნილი მდგომარეობა მწარე სინამდვილე გვიკარნახებს სეპარატიულ ზავის აუცილებლობასაო. ხოლო ზავის ჩამოსაგდებად უპირველესად ყოველისა საჭიროა კავკასიის ერების თანხმობა. ამ მომენტში კი ამიერკავკასიის ერების ნებასყოფის და კავშირის გამომხატველი ჯერჯერობით ის ორგანიზაცია იქნება, სადაც მათი ერის წარმომადგენელნი არიან—სეიმი. მიტომ ეს საქმე უნდა დავაჩქარებინოთ და გაბედული ნაბიჯი გადავადგმევინოთ—რადგან ოსმალეთმა და გერმანიამ, როგორც ცნობაა, უკვე აღიარეს კავკასიის დამოუკიდებლობა და მოითხოვეს საზავო მოლაპარაკებაში კავკასიამ მიიღოს მონაწილეობა, როგორც დამოუკიდებელმა ერთეულმა. ესეც გვავალებს შეაფერ ფხიზელ მოქმედებას და აქტიობის გამოჩენას. მაშასადამე, სეიმმა, როგორც დროებითმა ორგანიზაციამ, ამ საერთო რღვევის დროს უდიდესი ენერგია უნდა გამოიჩინოს და ნიადაგი შეამზადოს იმ მთავრობისთვის, რომელიც შესცვლის მას და რომელიც იქნება ცალკე ეროვნულ ერთეულთა შეთანხმების ნაყოფი და წარმომადგენელი.

რაგვარი უნდა იყოს ურთიერთობა ეგრედ წოდებულ სეიმის და ეროვნულ საბჭოებისა? სოციალ-დემოკრატებს განზრახული ჰქონდათ, როდესაც შეიკრიბებოდა „სეიმი“ ეროვნული საბჭოები გამქრალიყვნენ და მათი ადგილი დაეჭირა ამ „სეიმს“. დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ ეროვნული საბჭოები, ჩვენში თუ არა მეზობელ ერებში მაინც—ბატონ-პატრონია ყველა ეროვნულ საქმეებისა. ამიტომ ეროვნული საბჭოები მოკარნახე უნდა იყვეს სეიმისათვის და არა პირიქით. ვიმეორებთ, ამიერ-კავკასიის სეიმმა მხოლოდ უნდა გამოხატოს ეროვნებათა შეთანხმება, იგი უნდა იყოს დროებითი ორგანიზაცია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ეროვნულ დამფუძნებელ კრებათა მოწვევას და ავტონომიურ ერთეულების შექმნას. ჩვენი აზრით მხოლოდ ესაა და სეიმი თავის დანიშნულებას შეასრულებს, თუ იგი ქიშპობას კი არ დაუწყებს ეროვნულ საბჭოებს, არამედ ხელს შეუწყობს მათ და საზოგადოდ იმუშავებს კავკასიის და მის შემადგენელ ერების პოლიტიკურ ფორმის მალე ჩამოყალიბებისათვის. ეს იქნება უდიდესი საქმე, რის გაკეთებაც შეუძლიან დღევანდელ პირობებში სეიმს. ამის შემდეგ კი მან ადგილი უნდა დაუთმოს კავკასიის ფედერალურ საბჭოს, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა შეიქმნეს.

# ქუდზე კაცი

ცხადია, ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ როგორც ძველად იტყოდნენ, ქუდზე კაცი უნდა გავიდეს თავის კერა-ოჯახის, დედმამის, ცოლშვილის, თავის ნაამაგარის, თავის კულტურის დასაცავად. ვისაც კი თვალი და ყური ასხია, აღარ ესაჭიროება იმის მტკიცება, თუ რა განსაცდელის პირზეა მიმდგარი მთელი ჩვენი ქვეყანა. ერთი ბათუმელი ამბობდა ამ დღეებში: ვულკანის თავზე ვდგავართ და არ ვიცით, როდის ამოხეთქავს ცეცხლი და გვშთანთქავს, გაგვანადგურებს ყველასო. მაგრამ დღეს ასეთია ყოფა მთელი საქართველოსი, უდიდესი უბედურება მოელის მთელს ქართველ ერს! გარშემორტყმული ვართ მტრებით, რომლებიც დღეს თუ ხვალ გადმოლახავენ საზღვრებს და სათარეშოდ გაიხდიან ჩვენს მიწა-წყალს, ომი ჯერ არ დამთავრებულა და შესაძლებელია, ახალის სიძლიერით იფეთქოს და გალაღებული თავხედი მტერი ჩვენს ტერიტორიას წაეპოტინოს. შინაური არეულობა დღითი დღე იზრდება, სიმშილის და სიკვდილის აჩრდილი თავს დაგვტრიალებს და თავის ცელს მოსწრაფებით ლესავს...

ყველაფერი ეს ნათელია, ყველა ვხედავთ, მაგრამ სამწუხაროდ ვხედავთ მხოლოდ ფიზიკურის თვალით და არა ვგრძნობთ კი, არ განვიცდით მოსალოდნელ საშინელებას და ჩვენი მოქმედება სრულებით არ შეეფერება განსაცდელის სიდიადეს. ეხლაც თეორიულ მსჯელობათა ქსელში ვართ გაბმულნი და უფრო განყინებული დოგმების სიწმინდის დაცვას ვცდილობთ, ვიდრე იმას, რომ ანგარიში გავუწიოთ მწარე სინამდვილეს და გადავარჩინოთ ერი და ქვეყანა ფიზიკურ მოსპობას. დუღბინდით გვინდა განვდევნოთ ის, რაც ასე ძლიერად აღმართულა ჩვენს წინ; რის ალი ჩვენს კალთებს ედება უკვე, რის ტალღა ჩვენს სახლს სახურავს აცლის უკვე.

არა გვაქვს სრული შეგნება და განცდა კარზე მომდგარ უბედურებისა, მიტომაც არ არის ჩვენში დღეს ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლოს ერის პატრონობა, მისი ხელმძღვანელობა დღევანდელ ქარიშხალის დროს. ქართველებს შორის დღეს თითქოს ძალზე ბევრია პოლიტიკური მოღვაწე, მუშაობა თითქოს გაჩაღებულია და ყველაფერი თითქოს დუღს და გადმოდუღს. მაგრამ ამას ნამდვილად აკლია საქმიანობა, ეს გაცხარებული მოღვაწეობა არაა სწორედ მომართული, არ ემსახურება პირდაპირ მიზანს, არ აკეთებს, რაც უფრო საჭირო და საჩქაროა.

რუსეთი დაიშალა და დაიშალა ერე ბად, მთელი ცენტრი და ძალა ცხოვრებისა გადავიდა ეროვნული ერთეულებში. ეს რუსეთის რევოლიუციის უდიდესი ფაქტია და ვინც ამას არ ხედავს, არ უნდა ამას შეუთანხმოს თავისი საქმე, იგი რევოლიუციას ებრძვის და აუცილებელი ისტორიული პროცესის შეჩერებას ლამობს.

ჩვენი პოლიტიკური პარტიების ყოველი მოქმედება—თუნდაც უძლიერესი ენერგიის გამომსახველი—ამაო და ფუჭი იქნება და ვერც რევოლიუციას განამტკიცებს და ვერც ქართველ ხალხს უშველის, თუ არ მიიღო მკაფიოდ გარკვეული და ნათელი ეროვნული სახე, თუ არ დაემყარა ყოვლის უწინარეს ეროვნებას, ეროვნულ შემოქმედებას. მხოლოდ ამ ერთად ერთ სწორი გზით შეგვიძლია თავი დავახწიოთ განსაცდელს და გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა აოხრებას, დაღუპვას.

ყოყმანის და ლოდინის დრო აღარ არის, წუთი დღეს მთელი წელიწადია და დაუყოვნებლივ, ამ წუთშივე შესდგეს ქართული მთავრობა და გამოცხადდეს სრული დიქტატურა ეროვნულ ორგანიზაციისა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. იკისრებს ამ საქმეს ეროვნული საბჭო და მისი აღმასრულებელი ორგანო თუ სხვ ფერ მოეწყობა.—სულ ერთია. მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ამ ჟამად ფაქტიურად საქართველოს და ქართველ ერს უზენაესი პატრონი მხოლოდ ეროვნული საბჭო ჰყავს. თუ საჭიროა მოხდეს საბჭოს შევსება, გადიდება, მაგრამ ვიდრე მოვიწვევდეთ ჩვენს დამფუძნებელს კრებას, ქართველი ერის საქმეების გაძღოლა თავს უნდა იდვას ეროვნულმა საბჭომ. მარტო მას შეუძლია ჩვენი შველა. ვერც ამიერ კავკასიის კომისსარიატი, ვერც სეიმი, რომელიც ხვალ უნდა შეიკრიფოს, ვერ შესძლებს მის მაგიერობას, ამიერ კავკასიის საერთო მთავრობა, რომელიც ამიერიდან უნდა მოეწყოს ფედერატიულად, მაშინ იქნება ძლიერი და საქმიანი, თუ ძლიერნი იქნებიან ეროვნული მთავრობანი.

ვიმეორებთ, ეს უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ დღესვე, თუ არ გვინდა მდგომარეობა უფრო გამწვავდეს. საქართველოს მართვა გამგეობა უნდა გადაეცეს მის ეროვნულ ორგანიზაციას, რომელიც უკეთ მოაწყობს და მოაწესრიგებს ყველაფერს თავის ტერიტორიაზე, რომელსაც ერთს ძალუძს გამოიჩინოს უდიდესი ენერგია და მოქმედება...

ხამ. ფირცხალავა.

# ყოფილი საუფლისწულო მამულები

სწორედ იმიტომ, რომ პოლიტიკური ფორმა ამიერკავკასიის სრულიად გამოურკვეველია, აურებელი სიმდიდრე საუფლისწულო მამულებისა იღუპება ისე, რომ მისი აღდგენა შემდეგში შეუძლებელი გახდება. თითქმის საყოველთაო აზრად ითვლება, რომ მეფისა და მისი გვარეულობის მამული ქართველი ხალხის ნაციონალურ სიმდიდრედ უნდა გამოცხადდეს საქართველოს ტერიტორიაზე. თუ ეს ასეა, მაშინ ამ მამულების მმართველებიც სათანადოდ უნდა მოეწყოს. სათანადოდ მოწყობა კი მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როდესაც უპატრონოდ დარჩენილ მამულს პატრონი გაუჩნდება, მზრუნველი. ვინ უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიის ყოფილი საუფლისწულო მამულების პატრონი? საკმარისია ეს პრაქტიკული კითხვა დავსვათ, რომ წინ გადაგვეღობება ერთი მთავარი დაბრკოლება, რომელიც აფერხებს არა მარტო ამ საქმეს, არამედ მრავალ სხვა საჭირ-ბოროტო საქმესაც. ეს დაბრკოლებაა გამოურკვევლობა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობისა. არსებობს თუ არა საქართველო, როგორც გარკვეული პოლიტიკური ერთეული, რომელსაც უფლება აქვს თავის შინაურ საქმეებს თითონ გაუძღვეს და დაეპატრონოს კიდეც იმ სიმდიდრეს, რომელიც დღეს უცხოთა ხელთ არის და რომელიც, შესაძლებელია, განზრახაც კი იფლანგება და იწეწება? ყოველთვის, როდესაც კი რამე პრაქტიკული საქმე იბადება. ჩვენ უძლურნი ვხდებით და ეს უძლურება გამომდინარეობს პოლიტიკური ხერხემლის სიდამბლისაგან,

არა მგონია არსებობდეს ისეთი პოლიტიკური პარტია ან სარევოლიუციო ორგანიზაცია, რომელსაც სასურველად მიაჩნდეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც კულტურული მამულები ინგრევა და იშლება. მიუხედავად იმისა, გარდა წყალ-წყალა მოწოდებისა, სრულიად არაფერი კეთდება ზემოხსენებულ მამულების დასაცავად. ვერც გაკეთდება იმ დრომდე, სანამ მათ ბუნებრივი პატრონი არ გაუჩნდება. ბუნებრივ პატრონად კი ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მთელი ქართველი ხალხი, ანუ მის მაგიერ არჩეული მთავრობა მიგვაჩნია. დღეს ასეთი მთავრობა საქართველოს არა ჰყავს. გაბატონებული პარტიის წყალობით საქართველო დღესაც იმ წერტილზე სდგას, რომელზედაც ამ ასის წლის წინად იდგა და დღესაც ფაქტიურად მოკლებულია საშუალებას იმ სიმდიდრეს მოუაროს, რომელსაც ქართველი ხალხის შრომა და ჯაფაა შექმნილი. არ ვიცით ჯერ კიდევ როდემდის ვიდგებით გზა-ჯვარედინზე. რუსეთში უკვე მეორე რევოლიუცია მოხდა, ფინლანდიამ და უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, სრულიად რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად აღიარა,—ერთის სიტყვით ძირიან-ფესვიანად შეიცვალა მთელი წყობილება რუსეთისა და სწორედ ამისთანად შეიცვალა მთელი წყობილება რუსეთისა და სწორედ ამისთანა დროს იმდენი ვერ მოგვიხერხებია ჩვენს ტერიტორიაზე მოქცეულ ნაციონალურ სიმდიდრეს თავისი ბუნებრივი პატრონი მივუჩინოთ,

ამ გზით სიარული აღარ შეიძლება. სანამ ძირითადი პოლიტიკური საკითხი გადაწყდებოდეს და გამოირკვევოდეს ბედი საქართველოსი, ამ მამულებს პატრონობა მაინც უნდა, ამისათვის კი საჭიროა უპირველესად ყოვლისა საუფლისწულო მამულების სამმართველოს მიუჩინოს ერთი კომისარი, რომელიც ცნობაში მოიყვანს მთელი მამულის რაოდენობას, მის ხარჯთაღრიცხვას, ექსპლოატაციის საშუალებებს, მოახდენს რეორგანიზაციას სამმართველოს და შემოსავალს გადასცემს ისეთს დაწესებულებას, რომელსაც საერთო ეროვნული ხასიათი აქვს. საქართველო რომ უკვე ჩამოყალიბებული ავტონომიური ერთეული იყოს, მაშინ მოვითხოვდით, რომ საუფლისწულო მამულების შემოსავალი გადასულიყო საქართველოს ხაზინაში, მაგრამ, რადგანაც ჯერ საქართველო ასეთს ერთეულად არ არის ჩამოყალიბებული, შემოსავალი უნდა გადაეცეს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, როგორც დროებით ორგანოს საქართველოსას,

თუ საუფლისწულო მამულებს არ მოვუარეთ, ძალიან მალე ისეთი მდგომარეობა შეიქმნება, რომ ვეღარაფერს ვუშველით. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ამ პროექტის განხორციელების დროს ჩვენ ბევრი დაბრკოლება გადაგვეღობება. საუფლისწულო მამულების გარშემო განსაკუთრებით კი ცენტრალურ სამმართველოში, მოკალათებული არიან ისეთი ელემენტები, რომელთაც მაინც და მაინც ძალიან არ ესიამოვნებათ პერსპექტივა საუფლისწულო მამულების გადაცემისა ეროვნულ საბჭოს ხელში. ძალიან კარგად ვიცით, რომ ამ პროექტის წინააღმდეგნი იქნებიან არა მარტო ძველ ტრადიციებზე აღზრდილი მოხელენი, არამედ ისეთი სოციალისტებიც კი, რომელთაც პირზე მიწის სოციალიზაცია და ფედერაცია აკერიათ, ნამდვილად კი წინააღმდეგნი არიან საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმდიდრის გადასვლისა ქართველი ხალხის ხელში და ვიცით, რომ ათასნაირი კანცელიარული ქსელი გაიბმება საუფლისწულო მამულების ნაციონალური სიმდიდრის ფაქტიურად გადასაქცევად, მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ მაინც ჩვენი უნდა გავიტანოთ და ეხლავე საუფლისწულო მამულებს მივუჩინოთ ბუნებრივი პატრონი—ჯერჯერობით საქართველოს ეროვნული საბჭო.

არ. ჯაჯანაშვილი.

# თურქული პრესა

**დეკემბრის 27-ს 1917 წელს**

„აჩიყსოზ“-ის 639 ნუმერში დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო წერილი ამ სათაურით: „საქართველოს რესპუბლიკა და მაჰმადიანები“.

ჩვენ გვეგონა, რა კი მაჰმადიანი სოციალ-დემოკრატები არ იზიარებენ ეროვნულსა და დეცენტრალისტურ პრინციპებს, — არც ქართველი სოციალ-დემოკრატები გაიზიარებენ და არ მიიღებენ ქართველი ნაციონალისტების მიერ წამოყენებულ ავტონომიას, ესე იგი—რესპუბლიკას! მაგრამ 19 ნოემბერს ტფილისში მომხდარმა საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ ქართველი სოციალისტების გულის წადილი ცხად ჰყო.

ნოე ჟორდანია, ჩხენკელი და რამიშვილისავით განთქმულმა სოციალისტებმა თავიანთი მეთაურობით, საქართველოს რესპუბლიკის ძირითადი დებულებანი გამოაცხადეს. დიახ, თუმცა, მთელის თავის შინაარსით რესპუბლიკანური წეს-წყობილებანი შემოიღეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით, სიტყვა „რესპუბლი“-კას ხმარება საჭიროდ არ დაინახეს. აქედან სჩანს, რომ ჩვენი მეზობლების მეთაურებს, გამოჩენილ სოციალისტებს სახელებზე და ლამაზ ფრაზებზე უფრო საქმის გაკეთება ჰყვარებიათ.

და სწორედ ამიტომაც იყო რომ 19 ნოემბერიდანვე, საქართველოს ყველა ეროვნულ დაწესებულებათა, დემოკრატიულის წესებით გაეროვნება დაადგინეს. ცარიელი დადგენილებითაც არ დაკმაყოფილდნენ: რესპუბლიკის საძირკვლების ჩაყრასთან ერთად ამ დიდი შენობის აგებაც დაიწყეს; საქართველოს ეროვნული საბჭო, აღმასრულებელი კომიტეტიც დაარსეს და მუშაობასაც შეუდგნენ. საქართველოს ყველა ეროვნული დაწესებულება და მთელი ერის სვე-ბედიც ხელთ იპყრეს.

ჩვენი მეზობლების მიერ გადადგმული ნაბიჯი მისაწონია და ბუნებრივი. ამ ახალ ეროვნულ მმართველობას ხანგრძლივობას ვუსურვებთ.

რამდენადაც საქართველოს ეროვნული საბჭოს დაარსება სასიამოვნო დარჩა ჩვენთვის, იმდენადვე ზოგიერთი მხარეების გამოურკვევლობა, ეჭვებს გვიბადებს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში მაჰმადიანებისთვის შვიდი ადგილი დაუთმიათ, მაგრამ აჭარის, ბათომის, ფოცხოვისა და ახალციხის მხარეებიდან გამოგზავნილმა წარმომადგენლებმა კი საქართველოს ეროვნულ ყრილობას მხოლოდ მიულოცეს და საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა სრულიად არ მიუღიათ. ვერც მიიღებდნენ, მიტომ რომ ისინი ხალხმა მხოლოდ მისალოცავად გაგზავნა. გარდა ამისა წარმომადგენლებს, თავიანთ საგანგებო თათბირზე გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ქართველების საქმეებში არ უნდა ჩარეოდნენ. და თუ საქმე მოითხოვდა, მაშინ უნდა გამოეცხადებიათ, რომ ჩვენ მხოლოდ ყრილობის მოსალოცავად ვართ მოსულიო.

ეს ასე იყო და ჩვენ გვაოცებს მაჰმადიანების მიერ საბჭოში მონაწილეობის მიღება და საბჭოში მათი რიცხვის აღნიშვნა.

ნეტავი, საქართველოს ეროვნულ საბჭოში შვიდი მაჰმადიანი, საიდან არიან? ვინ არჩია? არჩეულნი არიან თუ არა ამ ვექილობა? თუ, ქრისტიან ქართველებმა მაჰმადიანების დაუკითხავად განგებ შვიდი ადგილი დაუთმეს და ამით ის უნდა სთქვან, რომ მაჰმადიანები იყვნენ თანახმანიო.

პოლიტიკაში წინდახედულება და სარგებლობა საქმეს გაიტანსო—იტყვიან.

და თუ მაჰმადიანებისათვის შვიდი ადგილის დათმობა ამ მოსაზრებით იყო, არაფერი-რა. მაგრამ ესეც უნდა აღვიაროთ, რომ აჭარის, ყარსისა და ახალციხის მაჰმადიანებმა არჩევნების არა იციან-რა. და არც ვისმესთვის დაუვალებიათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

თუმცა კი, მემედ ბეგი აბაშიძის და მისი თანამოაზრეების შეხედულობით „თავისუფალ საქართველოში თავისუფალი სამაჰმადიანო საქართველოს ხელწოდებითა, მაჰმადიანები უნდა ქართველების ქვეშევრდომებად დარჩნენ. მაგრამ ამ აზრს აჭარის ხალხი არ იზიარებს. ეს მხოლოდ მემედ ბეგისა, რეჯებ ბეგისა და ჰაიდარ-ბეგისთანა რამოდენიმე კერძო პირების კერძო აზრი და შეხედულებაა.

მართალია, ხსენებული ადგილების წარმომადგენელთა შორის ბევრი სჯა და ბაასი იყო: ბათომისა და ყარსის ოლქები და ახალციხის მაზრა შეერთებულიყო და საქართველოს რესპუბლიკის ფარგალში თვითმართველ კანტონად შესულიყო, თუ თავისი საკუთარი რესპუბლიკა გამოეცხადებინა, მაგრამ ვერც ერთ დასკვნამდე ვერ მივიდნენ და ბოლოს ისე დაიშალნენ. შეთანხმებაც შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ ორივე მხარე თავის აზრს მედგრად იცავდა.

ერთი მხარე—ახალციხის წარმომადგენლები ომერ ფაიკ-ეფენდი და მისი ამხანაგები ამბობდნენ: ბათუმი და ყარსის ოლქები, ახალციხის მაზრა, და აგრეთვე ახალქალაქის ნაწილი, ადგილობრივის მდებარეობით, ენით, სოციალურისა და ეკონომიურის მხრივ ისე არიან ერთმანეთზე გადამბულნი, რომ რუსეთის ცენტრიდან განსაკუთრებულ მაჰმადიანურ რესპუბლიკას უნდა წარმოადგენდნენ, და ამ რესპუბლიკის სახელწოდებაც „დასავლეთ კავკასიის მაჰმადიანთა რესპუბლიკა“ უნდა იყოსო.

ამ ადგილებს ბუნებრივი სიმდიდრე და მცხოვრებლების სიმრავლე ამ სახელწოდების უფლებას ანიჭებს.

და თუ ეს მიწა-წყალი რუსეთის ფედერაციაში ერთი რესპუბლიკათაგანი არ შეიქმნა მაშინ—ეს ადგილები უნდა დაიკუწოს მეზობლებს ქართველებსა და სომხებს შორის. ეს დღევანდელი ხრიკებიდანაც ნათლადა სჩანს და მემედ-ბეგი აბაშიძის ნათქვამსავით, რომ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდეთ, მაშინ ოთხასი ათასი თურქის დიდი ნაწილის მომავალი ქართველებს მსხვერპლად უნდა შეეწიროს,

მართალია, ადგილობრივსა და გეოგრაფიული პირობების მიხედვით ზოგიერთი მაჰმადიანების სოფლები, მრავალი საზოგადოებაც კი, ქართველებისა და სომხების რესპუბლიკაში დარჩებიან და კიდევაც უნდა დარჩნენ ისე როგორც სომხებისა და ქართველების სოფლები მაჰმადიანების რესპუბლიკაში უნდა მოიქცნენ. მაგრამ მთლიან დისტრიქტი ადგილ-მამული და ნახევარ მილიონზე მეტი ხალხი ასე ადვილად სხვის საზღვრებში არ უნდა მოვაქციოთ და არ შთავნთქათ.

მეორე მხარე—თურქულ გაზეთებში „ბათუმის სანჯაყის მუფტის შვილი ჰაფიზ მემედ—თევდი აბაშიძე“-სა და ქართულ გაზეთებში კი „მემედ ბეგი აბაშიძე“ სახელებითა წერილების დამწერი მემედ-ბეგი აბაშიძე და მისი ამხანაგები—ამბობდა: ყარსის ოლქის და ახალციხის მაზრის მიწა-წყალი საქართველოს ტერიტორია იყო და ეხლაც მისივე უნდა დარჩეს. დღეს ამ ადგილების მცხოვრები თურქები გათათრებული ქართველები არიანო და, მაშასადამე შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი ერთი კანტონი შექნათ და მის სახელად „დასავლეთი კავკასიის მაჰმადიანთ რესპუბლიკა კი არა, არამედ „სამაჰმადიანო საქართველოს კანტონი“ დაერქვას და საქართველოს რესპუბლიკას შემადგენლობაში შევიდეთო.

ამის საპასუხოდ, ომერ-ფაიკ-ეფენდი ამბობდა: მართალია, ეს ადგილები ერთ დროს ქართველების ყოფილა, მაგრამ ამით არ შეიძლება ითქვას, რომ დღესაც ქართველობის უნდა იყოსო. ეს აზრი მისაღები რომ ყო-

ფილიყო, მაშინ მთელი ევროპის მიწა-წყალზე მცხოვრებნი ყველა ერები, თავიანთ ადგილებიდან უნდა აჰყაროთ და აზიაში გავრეკოთ და მერე კიდევ ქართველებსაც თავიანთ ადგილებიდან აყრა და ევფრატის ნაპირებზე გადასახლება დასჭირდებათ. ამისთანა სიტყვები დღევანდელ ამბებსა და სოციალურ ცხოვრების წინაშე, იქნება უაზრობა და სასაცილო. გარდა ამისა ეს ადგილები ოთხასი წლიწადია ოსმალეთის მთავრობის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ცხოვრობდა, დღესაც კი ამ ადგილების მცხოვრებლების ოთხმოცდა ათი პროცენტი ნამდვილი თურქი მაჰმადიანია, რომლებსაც ერთი ქართული სიტყვაც არ გაეგებათ. ისტორიულის, ეთნოგრაფიულის და მეცნიერულის გამოკვლევით ჩვენ ვხედავთ, რომ ყარსის და ახალციხის მაზრის მკვიდრ მაჰმადიანებში ოთხმოცდა ათი პროცენტი ოსმალეთიდან სპარსეთიდან გადმოსახლებულნი თურქი და ქურთი არის.

ლოღიკა და სამართლიანობა მოითხოვს, რომ ოთხას ათას თურქის ერთი დიდი ნაწილი, ორმოცდაათი და სამოცი ათასი ქართველი მაჰმადიანების [?]ულისთვის, ქრისტიანი ქართველების [ქვე]შევრდომად არ შეიქმნეს.

[ა]ი, ასეთი იყო დასავლეთ კავკასიის [მაჰმ]ადიანების სვე-მადლის შესახებ [ამ]ათ წარმომადგენლებს შორის გამართული ბაასი! და ამ ბაასის დროს წარმოთქმულ სიტყვებიდანაც ის ირკვეოდა, რომ ომერ-ფაიდ-ეფენდის ზურგით ოთხასათასი ხალხი იმყოფება და მემედ-ბეგის და მისი ამხანაგების [?] კი მხოლოდ ბათუმისა და ქობულეთის კუთხიდან ზოგიერთი მაჰმადიანები.

ზემო აჭარა, ართვინი და შავშეთის მაჰმადიანები, მემედ-ბეგის აზრებს არ ზიარებენ. დაწვრილებით შემდეგში კვლავ გაცნობებთ ამის შესახებ.

ამ წერილს ქვეშ აწერია: „მ. ია".

## ახალი გზით

ევროპის სახელმწიფოების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობა იმ საუკუნის დამლევს და ამ საუკუნის დასაწყისს მიდიოდა ჩქარის ნაბიჯით, თითქო მას ძალით აშურებდნენ და მიესწრაფებოდა მიზნის მისაღწევად.

სახელმწიფოთა შორის გარეგნულად სუფევდა მშვიდი და ძმური განწყობილება, მაგრამ სინამდვილეში ისახებოდა ატმოსფერა უნდობლობისა და უთანხმოებისა, განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული იყო სამხედრო საგნებზე, გაშმაგებული მზადება, ხალხის დარაზმვა, სამხედრო მასალის დაგროვება—აი რა იყო მთავარი საზრუნავი; მეცნიერებმაც კი შეუწყვს ხელი და შეუდგნენ ბრძოლის მანქანების და სატეხნიკო იარაღების გამოგონებას. ყოველ სახელმწიფოში ხდებოდა ძალების, ხალხის ენერგიის და სიმდიდრის კონცენტრაცია.

რუსეთიც ემზადებოდა შესაფერისად თავის კულტურისა და განვითარებისა. უნდა მომხდარიყო განახლება და რეორგანიზაცია სამხედრო უწყებისა და 1917 წელს უნდა დამთავრებულიყო ჯარის შეიარაღება თანამედროვე ტეხნიკის მიხედვით. 1871 წლიდან სახელმწიფოები უფრო განშორდნენ ერთმანეთს, მათ შორის დაითესა მტრობა და შური, ფარულად ერთმანეთს უთხრიდნენ სამარეს და ეძებდნენ სახეირო მომენტს შეტაკებისა და გალაშქრებისათვის.

პოლიტიკური მესვეურები, იმპერიალისტები თვალხილულად უყურებდნენ ამას და ეძებდნენ მოკავშირეებს, უნდა მართალი ითქვას, რომ ყველას კი ეშინოდათ ომისა, რადგან იგი გადიშლებოდა თავის სიმწვავით და სიმკაცრით, მაგრამ ამის აუცილებლობაც ცხადი იყო; საერთო ცეცხლის გაღვივებას და აფეთქებას ელოდნენ, ამას გრძნობდნენ; ჰაერი ეჟღენთებოდა წინააღმდეგობით...

დადგა საათი განწირვისა, ჩამოჰკრა ბლოვის ზარმა და შეიღება დედამიწა ადამიანთა სისხლით. პატარა ერები ჩავარდნენ განსაცდელში, მოელოდათ საფრთხე და განადგურება; აქლემები [?]ჰაიჭიდნენ, კოზაკები გაჰყულიტესო; [და]ბადებოდა კითხვა ერების ყოფნა, არ [ყ]ოფნისა, ფიზიკურ არსებობისა. მაგრამ განსაცდელს და საფრთხეს თან [ს]დევს იმედი და ნუგეში. მებრძოლთა [ს]ახელმწიფოებმა იძულებით გადმოისროლეს ლოზუნგი, ომი, ბრძოლა პატარა ერების განთავისუფლებისათვის; [მ]ოკავშირეებმა, გარდა რუსეთისა, ნათლად დააყენეს ეს საკითხი და ამას მიეხრო ამერიკის შტატები. პატარა ერების თავისუფლება ედებოდა სარჩულად და შინაარსად ამ სისხლით გაჟღენთილ ომს; სჭირდებოდათ თავის გამართლება, ჰპოულობდნენ ზნეობრივ მატივს, დასაბუთებას...

ძველი, ბიუროკრატიული რუსეთი ამ კითხვას გაურბოდა. მას ეშინოდა დანაწილებისა, პატარა ერების განთავისუფლება რუსეთს უქადდა ცხოვრების ძირიან-ფესვიანად გადატრიალებას, ფერის და ზნის შეცვლას და ნაჩქარებით შეთითხნილ აკიდოს დაშლას, დაფუშვას.

არც გერმანია იყო დაშორებული იმ აზრს, რომ პატარა დაჩაგრული ერები უნდა განთავისუფლებულიყვნენ; ცხადი იყო გერმანიისთვის, რომ რუსეთისაგან დამონებულ ერებს ბორკილი უნდა აეყარათ. აქ ჩვენ აღვნუსხავთ მარტო მშრალ ფაქტს.

12 მარტს 1916 წელს პეტროგრადში გაიმართა მიტინგი—სალამო ქალაქის საბჭოს დარბაზში. აუარებელი ხალხი დაესწრო, მონაწილეობას იღებდნენ საუკეთესო ორატორები, პოლიტიკური მოღვაწეები; მათ შორის რასაკვირველია ცნობილი ყოფილი საგარეო მინისტრი პ. მილიუკოვი. მან გულახდილად გადაშალა რუსეთის უმწეო მდგომარეობა, მისი მომავალი, რომ რუსეთის მთლიანობას მოელის განსაცდელი, დანაწილება; პატარა ერების, განაპირა ნაწილების ჩამოშორება და დაარსება მარტო მოსკოვის სახელმწიფოსი.

პ. მილიუკოვმა ჯიბიდან ამოიღო დოკუმენტი და მღელვარებით, ხმის კანკალით წაიკითხა. ეს იყო ზრახვანი და მთელი გეგმა მოქმედებისა, შემუშავებული და მიღებული გერმანიის საგარეო სამინისტროში: ჩამოშორება ფინლანდიისა, პოლონეთისა, ლიტვასი, ლატვიისა, ესტონიისა, ბესარაბიისა, უკრაინისა და საქართველოსი: ამ ერებს უნდა მინიჭებოდათ სახელმწიფოებრივი წესწყობილება. საგულისხმიეროა ის, რომ ეს მოხსენება არც ერთმა გაზეთმა არ აღნიშნა. ჩვენ არ ვეხებით იმას რით ხელმძღვანელობდნენ გერმანია და მისი მოკავშირენი, რა მოტივებით სულდგმულობდნენ, რა ამოძრავებდათ, ჩვენ მარტო გვინდა აღვნიშნოთ მოვლენა.

კიდითკიდემდე ომის ქარიშხალმა განამტკიცა ერების თავისუფლების იდეა და თავს იდვა გამომაფხიზლებელი როლი, ეროვნული კითხვა უნდა გადაწყდეს და დაედვას საფუძვლად სახელმწიფოებრივ შემოქმედებას. რუსეთის რევოლიუციამ ანგარიში გაუწია ამ კითხვას და მოევლინა ხალხს თვითგამორკვევის სახით. უკვე მოხდა ზოგი ერების ჩამოყალიბება ეროვნულ ნიადაგზე და სხვებიც ემზადებიან გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები. ევროპის კულტურამ და საფრანგეთის რევოლიუციამ იცნო ადამიანთა უფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა. თანამედროვე მომენტმა აღიარა ერთა თავისუფლება და ერის ნების-ყოფის ხელშეუხებლობა. აი უდიდესი მონაპოვარი მეოცე საუკუნესი.

საქართველოს ერს არ შეეძლო გვერდი აეხვია ეროვნულ კითხვისათვის, ეს კითხვა საქართველოსათვის მორიგი დღიური კითხვაა და უჩვენებს მას ნათელ გზას, ბრწყინვალე მომავალს.

ი. ბარათაშვილი.

# მეორე რევოლიუცია

## უკანასკნელი დეპეშები

**ცნობა ლენინის მკვლელობის შესახებ ჯერ არ არის დადასტურებული. ფიქრობენ ხმების გავრცელებას ხელი შეუწყო ლენინზე თავდასხმამ.**

—

**შინგარიოვი და კოკოშკინი პეტროგრადში დაასაფლავეს.**

—

**პეტროგრადში ანარქია ზღაპრული სიჩქარით ძლიერდება.**

—

**ჩერნოვმა აუწყა დამფ. კრების წევრებს, რომ დამფ. კრების შემდეგ სხდომების შესახებ ის უწყებებს დაუგზავნის.**

—

**ხმები სემიონოვის, ვოლინის და პრეობრაჟენსკის პოლკები დამფ. კრებას იცავენო, მართალი გამოდგა.**

—

**როსტოვში მთავარ სახელოსნოებში ინციდენტი მოხდა, რომელიც სისხლის ღვრით დამთავრდა. რამდენიმე კაცი მოკლული და დაჭრილია.**

—

**როსტოვიდან იტყობინებიან, რომ რუსეთთან შეწყვეტილია კავშირი რკინის გზით.**

—

**კალედინი ნოვოჩერკასკში იმყოფება. როსტოვში არავითარი მთავრობა არ არის.**

—

**კავკავის, სამხრეთ აღმოსავლეთის და ეკატერინოდარის რკ. გზებზე იტალიანური გაფიცვაა, პოლიტიკური მოტივების ნიადაგზე.**

—

**დონის ფრონტზე: ტაგანროგის მახლობლად ბრძოლაა. ეკატერინოსლავის მიმართულებითაც ბრძოლაა. კერძო ცნობებით, ბოლშევიკები დამარცხდნენ. ვორონეჟის მიმართულებით სიწყნარეა.**

—

**კავკავის რკ. გზაზე მოძრაობა ეკონომიურ ნიადაგზე. ამბობენ გაფიცვები 30 იანვარს დაიწყებაო.**

—

**როსტოვსა და ნოვოჩერკასკში ბოლშევიკები გაფიცვების გზით ცდილობენ გავლენა მოახდინონ დონის მთავრობაზე.**

—

**დონის ბოლშევიკურ ფრონტის გაძლიერებამ სერიოზულად ჩააფიქრა კალედინელები.**

—

**ყაზახთა რაზმები, ჩამოსულნი ფრონტიდან ბოლშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებიან.**

—

**მოლაპარაკება სწარმოებს კალედინელებსა და რევოლიუციონურად განწყობილ ფრონტოვიკებს შორის. მოსალოდნელია შერიგება.**

—

**რუმინიის გამოსვლის შესახებ ბოლშევიკების წინააღმდეგ უკანასკნელ დღეებში არავითარი ცნობები არ მოსულა.**

### უკრაინაში.

**უკრაინელთა კომისარს ს. კ. კუციაკს ატყობინებენ.**

15 იანვარს ღამით უკრაინელებმა ეკატერინოსლავი დაიკავეს.

— ხარკოვში ბრძოლაა. ასეთივე ამბავია ხარკოვიდან ჩერნიგოვამდე,

— კიევში სიწყნარეა. დანარჩენ ბოლშევიკებსაც აძევებენ. კიევის ირგვლივ არიან კიდევ ბოლშევიკების ნაწილები. მაგრამ მათი დღეებიც დათვლილია.

— როვნოში, ვასტოვოს იქით შეტაკებებია.

— კიევთან მქონდა დამოკიდებულება ადესაზე, მაგრამ 14 იანვრის ღამეს იგი ბოლშევიკებმა დაიკავეს. გუშინ ღამის 2 საათზე ველაპარაკე ადესას. ძალა ბოლშევიკების ხელშია, თუმცა ყველა მმართველობები, სამხედრო იარაღი და ავტომობილები უკრაინელებს უჭირავთ. გაზეთები არ გამოდიან. ფოჩტაში სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტი მბრძანებლობს.

— დღეს გადმომცეს, რომ ადესაში სასტიკი ბრძოლაა.

— მოხალისეთა რაზმის ნაწილი წავიდა მისაშველებლად. არ შეიძლება ითქვას, რაზე გათავდება ყველაფერი ეს.

— ნოვოჩერკასკში დღის წინად იყო ბრძოლა ბოლშევიკ ყაზახებსა და მენშევიკ ყაზახებს შორის, ასეთივე ამბებია ნოვოჩერკასკის ზევით და მთელი დონის ოლქში.

— ყაზახთა შორისაც გათიშვაა, მაგრამ არც თუ ბოლშევიკებსა აქვთ მტკიცე სიმთელე. ერთი სიტყვით არაფერი გაიგება-რა.

— უკრაინის ცენტრ. რადამ ხელი მოაწერა მეოთხე უნივერსალს თავის ყველასაგან დამოუკიდებელ, სუვერენულ რესპუბლიკაზე.

**დონი და ჩრდილოეთი კავკასია.**

დონზე ბრძოლაა ბოლშევიკებთან, მაგრამ დონის შეერთებულ მთავრობის სახელით მიდიან დონის ოლქის ყველა ფრონტებზე დელეგატები, რომელთაც ჰსურთ მშვიდობიანობის ჩამოგდება 5 თებერვლამდე, როდესაც მოწვეულია „ვოისკოვოი კრუგი" დონის მომავალი პოლიტიკური ცხოვრების მოწყობისათვის.

თერგის ოლქში ბრძოლაა ყაზახებსა და ადგილობრივ თემებ შორის.

გიორგიევსკი და ზოგიერთი სხვა პუნქტები, აგრეთვე გროზნაც ბოლშევიკების ხელშია. ბოლშევიკები ნავთს არ იძლევიან.

პროხლადნაიაში, გიორგიევსკში და არმავირში ბოლშევიკები მეფობენ. მგზავრ აფიცრებს პაგონებს ჰგლეჯენ, აგრეთვე ეძებენ იარაღს.

**უკრაინელების მე-4 უნივერსალი**

უკრაინელების ტფილისის ორგანო „უკრაინსკა ნაროდნა რესპუბლიკა"-ში დაბეჭდილია მეოთხე უნივერსალი, რომლითაც უკრაინა გამოცხადებულია, რომ „ამიერიდან უკრაინის სახალხო რესპუბლიკა გამოცხადებულია დამოუკიდებელ, არავის ქვეშევრდომ, თავისუფალ სუვერენულ უკრაინელი ხალხის სახელმწიფოდ". უნივერსალში აღნიშნულია, ჩვენი ქვეყანა განწმენდილ უნდა იქნას პეტროგრადიდან გამოგზავნილ დაქირავებულ მოძალადეებისაგან, რომელნიც ფეხით სთელავენ ჩვენს რესპუბლიკას და ცდილობენ ძველებურად დაგვიმონავონ.

გარდა ამისა, დაარსებულია უკრაინის სახალხო მინისტრების საბჭო, რომელიც განახორციელებს ყველა რეფორმას და სოფლის კომიტეტების საშუალებით გადასცეს მშრომელ ხალხს მთელ მიწას. შესწყვეტს ომს, დააწესებს სახელმწიფოებრივ კონტროლს. უკრაინა საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს დამოუკიდებლად. ბოლშევიკებმა ხელი შეგვიშალეს საკუთარი დამფუძნებელი კრება მოგვეწვია, არევდარევა შემოიტანეს. ძარცვა-გლეჯა და ძალადობა. ეხლა უკრაინის მუშათა და გლეხთა საბჭოებთან თანხმობით ჩვენ ამას მოვსპობთ და შევკრავთ ფედერატიულ კავშირს რუსეთის სხვა, სახალხო რესპუბლიკანელებთანაო.

## ახალი ამბავი

◆ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს** მე ექვსე კრება გაიმართება 21 იანვარს, კვირას, 1 საათზედ ეროვნულ საბჭოს სადგომში (ფრეილინის ქ. № 11). განსახილველი საგანია ამიერ-კავკასიის სეიმის შეკრება.

◆ **ჯულფიდან იუწყებიან** იქაური ფოსტა-ტელეგრაფის მართველობა, რომ ადგილობრივ მკვიდრთ ქურთების მხრივ დიდი განსაცდელი მოელით. კორესპონდენციის და საფოსტო ოპერაციების გზავნა-მიღება შეწყვეტილია. ადგილობრივი კომისარი ზელიმხანი სპარსეთში გაიქცა. საჭიროა დახმარება სასწრაფოდ.

◆ **განჯიდან იუწყებიან,** რომ იქ მდგომარეობა ძალიან გამწვავდა. რკინის გზის ლიანდაგი დალმამედლისა და შახტახტის შუა აყრილია. საჭიროა სწრაფად გამოიგზავნოს ერთი ჯავშნიანი მატარებელი და ორი ჯავშნიანი ავტომობილი.

◆ **გორიდან იუწყებიან,** რომ ადგილობრივი ქართული პოლკი მზადაა ქალაქი დაარბიოს. გაანადგურეს ელექტრონის სადგური, რის გამო ქალაქს აღარ აქვს ენერგია. საჭიროა გამოგზავნა ას წითელ რაზმელისა.

◆ **ამიერკავკასიის კომისარიატმა** ნებადართო მასთან არსებულს მცირე საბჭოს გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი.

◆ **მილიციის უფროსის კაჩუბოვის ბრძანება.** უბრძანებს კომისრებს საღამოს 6 საათიდან დილის 6 საათამდე დაამყარონ წესიერი ყარაული პოსტებზე. სალ. 6 საათიდან დილის 6-მდე უნდა იყოს ყარაული, პოსტებზე ხოლო ქალაქში იაროს მილიციონერთა ჯგუფებმა; პოსტებზე მოკლებული მილიციონერების რიცხვით უნდა გადიდებული იყოს მოიარულეთა ჯგუფები. ვთხოვ კომისრებს სასტიკად ადევნონ თვალი მილიციონერებისაგან წესის შესრულებას. მილიციონერები პოსტებზე ფორმაში უნდა იდგნენ. ვინც წესებს გადაუხვევს დათხოვნილ იქნება და სამი თვით დატუსაღებული.

◆ **ბათომის ქალაქის** მოურავი სთხოვს ამიერკავკ. კომისარიატს რომ შაქრის მონოპოლია გადადვან.

◆ **კავკავისა და სამხრეთ დასავლეთ** რკინის გზებზე როგორც კომისარ ა. ჩხენკელს ატყობინებენ გაფიცვა დაწყებულა.

◆ **რედაქტორ გამომცემლების კრება.** დღეს, 1 საათზე „სახალხო საქმის" რედაქციაში დანიშნულია ტფილისის ქართულ-სომხურ რუსულ გაზეთების რედაქტორ-გამომცემელთა კრება.

◆ **აგრარული კაპიტალიზმი.** თედო ღლონტი დღეს საღამოს სრულ 7 საათზე ძველი სემინარიის შენობაში საჯარო ლექციას წაიკითხავს „აგრარულ კაპიტალიზმის" შესახებ.

◆ **ხევსურთა პარტიზანული რაზმი** ჩამოვიდა ტფილისში და სამხედრო სასწავლებლის ბინაში დაბანაკდა.

◆ **ამიერ კავკასიისსეიმი გაიხსნება** 22 იანვარს დღის 12 საათზე. რადგან სეიმზე ყველა დეპუტატები ვერ ჩამოვლენ, პირველსავე სხდომაზე აღიძრება საკითხი მათ მაგიერ პარტიის წარმომადგენლების დანიშვნის შესახებ.

◆ **წარმოდგენა ავლაბარში.** დღეს დილის თორმეტი საათიდგან, სახალხ. არს. ქართ. წარმ. მართველი წრის მიერ, წარმოდგენილი იქნება ავლაბარში თეატრი „პალასში" „ტარტიუფი ანუ მუზმუზელა", ავლაბრის ქართ. უფასო წიგნ-სამკითხველოს სასარგებლოდ.

◆ **კრება.** დღეს, დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების, რომელმაც უნდა განიხილოს საზოგადოების წესდება და შეუთანხმოს იგი აწინდელ ცხოვრების პირობებს. სასურველია ამ კრებას დაესწროს მეტი რიცხვი წევრებისა, რადგანაც საზოგადოების წესდების ამა თუ იმ ცვლილებით შეიძლებელია მრავლად შეიცვალოს უფლებრივი და ნივთიერი მდგომარეობა ქალთა და ვაჟთა ტფილისის ქართული გიმნაზიებისა.

◆ **დღეს, სახალხო სახლში** გაიმართება სალიტერატურო დილა ოთხ განყოფილებათ: ლექცია (აკ. პაპავასი) კონცერტი; სალიტერატურო განყოფილება და წარმოდგენა. დასაწყისი სრულ 12 საათზე, ფასები სახალხოა.

◆ **დილა-წარმოდგენა.** დღეს, 21 იანვარს რეალურ სასწავლებლის დარბაზში ქართველ მოწაფეთა წრის მიერ გაიმართება დილა წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის 4 მოქმ. დრამა „ქართველი დედა". შემდგომ ცეკვა და ბუფეტი. დასაწყისი 12 საათზე.

◆ **კრება.** კვირას, 21 იანვარს დილის 10 საათზე, დანიშნულია კრება საბურთალოს სახალხო თეატრში, ახლად დაარსებულ ლომთათიძის სახელობის საბურთალო-ახალშენის უფასო სამკითხველოს წევრების. დღიურ წესრიგში: 1. გამგეობის არჩევა, 2 სამკითხველოს გახსნა, 3. წევრების ჩაწერა. ამავე კრებაზე ვთხოვთ საბურთალოს ქართველ წარმოდგენების მართველ წრის წევრებს მობრძანდნენ.

## სოფლად და ქალაქად

### გორი

◆ 11 იანვარს გაიფიცნენ სავაჟო გიმნაზიის მასწავლებელნი. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ დიდი ხანია ჯამაგირი აღარ მიუღიათ. გიმნაზიაში სწავლა შეწყდა.

◆ 11 იანვარს ერთი ქართველი ჯარისკაცი თოფსა სწმენდდა. თოფი გატენილი ყოფილიყო... უცაბედად გავარდა და მწმენდელი გარდაიცვალა. ასევე დაემართა ამ ორი კვირის წინ ერთ [illegible] სისხლად დაიცალა. გარდაიცვალა იმავე საღამოს.

◆ ლოთობას ბოლო დროს ისეთ უმატეს. სროლა კვლავ ისმის ხშირად.

◆ როგორც სოფლებიდან გვატყობინებენ, ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთ თითქმის ყველას მოაქვს შინ თოფი. სოფლად ვილაცეები დაძვრებიან და იარაღს ჰყიდულობენ. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციონ ყურადღება სოფლის კომიტეტებმა და აუკრძალონ ჯარის-კაცთ თოფების ყიდვა. დღეს თვით ხალხი იირაღდება და საჭიროც არის იყვეს შეიარაღებული და ამისთანა დროს იარაღის ყიდვა ვილაც საეჭვო პირებზე ცოდვა და დანაშაულია. ჯერ საფრთხე წინ გვაქვს და იარაღი თვით მეომრებს დასჭირდებათ.

### ქუთაისი

◆ 16 იანვარს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა დელეგატების კრება, რომელზედაც გასარჩევი იყო რამდენიმე კითხვა. ამ დღეს პირველად შეეხენ მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობას და გაფიცვის კითხვას. კრებამ კამათის შემდეგ დაადგინა: რადგანაც დღემდის არ მოუციათ მომატებული ჯამაგირები (210 მანეთი თვეში) და აგრეთვე ერთდროული დახმარება 400 მანეთი, რაც უკვე დაურიგეს სხვა დარგების მოსამსახურეებს, ჩვენ დღეიდან გაფიცვას ვაცხადებთო.

ასეთი დადგენილება დეპეშით ეცნობა ამიერკავკასიის კომისარიატს და კავკასიის სამოსწავლო კომისარიატს.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

**მუშათა კავშირის გამგეობის კრება. ოთხშაბათს 24 იანვარს, საღამოს 6 საათზე პარტიის მთავარ კლუბში დანიშნულია ტფ. სოც.-ფედ. მუშათა კავშირის გამგეობის კრება.**

—

**სტუდენტთა კრება.** კვირას, 21 იანვარს დილის 11 საათზე, დანიშნულია საზოგადო ტფილისის საქ. სოც.-ფედ. სარ. პარ. სტუდენტთა კრება. დღიური წესრიგი: 1) მოხსენება კონფერენციის შესახებ: 2) წარმომადგენლების არჩევა საგუბერნიო ყრილობისთვის; 3) სტუდენტთა სარევოლიუციო საბჭოში მონაწილეობის მიღების შესახებ, 4) საღამოს გამართვა. 5) ბიუროს რეორგანიზაცია, 6) მიმდინარე საკითხები, ამხანაგებო გთხოვთ აუცილებლად დაესწროთ და ნურც დაიგვიანებთ. კრება გაიმართება პარტიის მთავარ ბინაზე.

# ცენტრის კრება

19 იანვარს სასახლის თეთრ დარბაზში შესდგა მუშათა, გლეხთა და ჯარის-კაცთა საბჭოების ცენტრის კრება. განსახილველი იყო მრავალი საგულისხმიერო საკითხი, მათ შორის ჯარში გაწვევის საკითხი. სწორედ ამის ბრალი იყო, რომ დარბაზში სრულუფლებიან წევრების გარდა მრავლად იყო გარეშე პირნიც.

კრება დანიშნულ დროს არ გაიხსნა. მხოლოდ 8 საათსა და 5 წუთზე გაისმა თავმჯდომარის—**ნოე ჟორდანიის** ზარის წკრიალი, რომელიც ამცნობდა კრების დასაწყისს.

თავმჯდომარე, რა ხსნის კრებას, მოახსენებს სამჯელო საგნებს: 1) არჩევა პრეზიდიუმისა. წინა კრებაზე არჩეული იყო მარტო თავმჯდომარე, ხოლო მისი ამხანაგები და მდივნები აუარჩევი დარჩნენ და ამიტომ არჩევა მათი დღევანდელ კრებაზე საჭიროა. 2) ჯარში გაწვევის საკითხი, რომელზედაც უკვე ორგზის იყო კამათი და ბჭობა, მაგრამ გადაწყვეტილება რამე არ იქმნა გამოტანილი. 3) ეშელონების გაგზავნა რუსეთში ფრონტიდან მიმავალ ჯარების შესახვედრად, რაზედაც კრებას წარედგინებათ მოხსენებანი აქედან გაგზავნილ დელეგატებისა. 4) მოხსენება საერთაშორისო სამხედრო საბჭოს შესახებ. 5) ჩრდილო-კავკასიის წინადადება და იქაური ამბები და 6) ჯულფა-ბაქოს რკინის გზის შესახებ.

თვითონ თავმჯდომარეს არ აქვს იმედი, რომ ყველა ეს საკითხები ამ კრებაზევე განხილულ—გადაჭრილი იქნება. არც კრებაა მაინც და მაინც ამის მომხრე და ამიტომ ერთხმივ მოითხოვს წესრიგში თავში მოთავსებული საკითხი—პრეზიდიუმის არჩევანი მოხდეს სულ უკანასკნელად. ამ რიგად თავდაპირველად ბჭობა იმართება ჯარში გაწვევის თაობაზე. მომხსენებლად არის ამხ. გობეჩია, მაგრამ მის მოუცლელობის გამო მოხსენებას საგნის შესახებ იძლევა **ნოე რამიშვილი.**

ფრონტი გადღევებულია. ანარქია დღითი-დღე იზრდება. ოქტომბრის ამბების შემდეგ, როცა პეტროგრადში ბოლშევიკები გამეფდნენ, ამიერკავკასია წარმოადგენდა იმ ბედნიერ ოაზისს, რომელმაც ანარქიისა არა იცოდა-რა. დღეს კი სულ სხვა სურათია ჩვენში. ანარქიამ თავი აქაც იჩინა და თუ დროზე არ მივატანეთ ის ძარცვა-გლეჯა და მკვლელობანი, რომელიც ხდება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და ნაწილობრივ დასავლეთ ამიერკავკასიაშიაც, ისე გაიზრდება და ჩვენთვის საშიში შეიქნება, რომ დავკარგავთ რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლებას და საკუთარ თავსაც. ამ რიგად საჭიროა ერთის მხრივ დაცული იყოს [ო]სმალეთის ფრონტისა, ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველვყოთ მოპოებული თავისუფლებანი. მაგრამ სადაა ძალა, რომელიც ამას შეძლებს? რეგულიარული ძალა უკვე გაწმენდილია, ასეთივე გახრწნას ვხედავთ, თუმცა სუსტად, ეროვნულ ჯარებშიაც; ჯარი, ფრონტიდან სახლისკენ მიმავალი, დიდ საფრთხეს უმზადებს თავის სტიქიური ლტოლვით შინისკენ ჩვენს მომავალს და თავისუფლებას. ამისათვისაა არსებული სარევოლიუციო ორგანიზაციები სახალხო მილიციის კადრების შექმნაზე რომ თავდაუზოგველად მუშაობენ. ეს იქნება ირეგულიარული ჯარი; მაგრამ ჩვენ უნდა გვყავდეს რეგულიარული ჯარიც და ამისათვის უნდა გავაძლიეროთ არსებული ეროვნული ნაწილები: სომხური, ქართული, თათრული, რუსული, უკრაინული, ასირიული, ბერძნული და სხ., რომელთაც ეყოლებათ, მსგავსად დღევანდელისა, ერთი მთავარსარდლობა.

მაგრამ ვინ უნდა იყოს ეროვნულ ჯარებში? 32 წელიწადზე უფროსნი უკვე განთავისუფლებულნი არიან. ამასვე ადასტურებს სახალხო კომისრების საბჭო. ფიზიკურადაც და ფსიხოლოგიურადაც ფრონტზე ნამყოფმა ჯარმა უკვე დაჰკარგა ბრძოლის უნარი, ამისთვის საჭიროა ეხლა გაწვეული იყოს ის ელემენტი, რომელსაც ფრონტი არ უნახავს; ისინი ვინც დაბადებულა 1899 წ. ე. ი. 19 წლიდან 25 წლამდე და ისინი, ვინც წინად თავი დააღწია ფრონტს სხვა და სხვა ორგა-

ნიზაციებში მუშაობით, სადაც კი მათ სამხედრო შეღავათი ეძლეოდათ, და აგრეთვე აშკარა დეზერტირები. ყველა შეღავათ—უპირატესობანი უნდა გაუქმდეს, გარდა ერთისა; დედის ერთა და ოჯახის მარჩენალნი უნდა იყვნენ განთავისუფლებულნი.

მაგრამ იბადება საკითხი: მოვახერხებთ კი ამ სასურსათო გაჭირვების დროს გაწვეულ ჯარის გამოკვებას, ჩაცმა-დახურვას? ჩაცმადახურვის მხრივ გასაჭირი არავითარი არ იქნება. ამის თქმა კატეგორიულად შეიძლება. რაც შეეხება სურსათ-სანოვაგეს, არც აქ იქნება გასაჭირი: ფრონტზე დღეს იმდენი სურსათი რჩება, რომელიც 3—4 თვეს გვეყოფა თავისუფლად და გაუჭირვებლივ. ჩვენ გვეყოლება ჯარში 50—60 ათასი კაცი. თუ სასურსათო კრიზისი დადგა, მაშინ შეგვიძლიან ნაწილობრივ ჯარი დავითხოვოთ შინ „ოტპუსკების" სახით.

სასურსათო კრიზისს უფრო ასუსტებს ის იმედი, რომელიც ჩრდილო-კავკასიისგან უნდა გვქონდეს: იგი ამ მხრივ ყოველთვის დაგვეხმარება.

ასეთი იყო მოტივიზაცია ნ. რამიშვილის მოხსენებისა. მაგრამ მეორე მოლაპარაკემ—ილ. ქარცივაძე,—(ს.რ,) დიდი იჭვი გამოსთქვა საერთოდ იმ სურათის გამო, რომელიც რამიშვილმა კრებას დაუხატა. იგი ამბობს: ყოველ მხრივ შემუშავებულ გეგმას მობილიზაციისას მე ვერ ვხედავ, მე ვერ ვხედავ საშუალებას, თუ როგორ უნდა იჩინოს თავი ჯარებმა აი თუნდ პირველ 2-3 კვირას. ასეთი სრული გეგმა კი საჭიროა, თუ გინდათ მიიღოთ ცენტრის ბეჭედი მობილიზაციისთვის. სურსათის მხრივ რომ შევეხოთ ამ საკითხს სურათი არც ისე სანუგეშოა, როგორც ამას გვიხატავენ, დღეს ქალაქის მცხოვრებთ მიეცათ 20 ათასი ფუთი ქერის პური. ესეც მალე აღარ იქნება და მალე ფეტვით გაგვიმასპინძლდებიან. პურის იმედი ცოტა უნდა ვიქონიოთ. ჩრდილო კავკასიიდან პურს აღარ გვაძლევენ. თუ როგორმე იქიდან წამოვიდა პური, ბაქოს მთავრობა მას ჩვენკენ აღარ უშვებს. არც ნოვოროსიისკის მთავრობაა გულუხვი და ისინიც გარდა 10 ათას ფუთი ფქვილისა, რომელსაც ეხლა ტვირთავენ, არას მოგვცემენ. ჩვენი ქვეყანა დამშეულია. ქუთაისის საგუბერნიო კომისარი, აგრეთვე ხონის, ონის, ოზურგეთის კომისრები დეპეშებით მთხოვენ პურს, მაგრამ რა მივსცე, რაც არა მაქვს? მაშ თქვენ საიდან გინდათ ჯარი გამოჰკვებოთ, მე-5—6 თვე სასურსათო საქმესთან ახლოს ვდგევარ და ვამბობ, რომ არავითარი საშუალება გამოკვებისა არ არის. ჯარისთვის გვჭირდება ნახევარ მილიონი ფუთი. ტრაპიზონში დღეს 40 ათასი ჯარია, რომელიც იქიდან წამოსაყვანია.

**ნ. ჟორდანია** სიტყვას აწყვეტინებს და სთხოვს სამხედრო დეტალებს ნუ აჟღავნებს.

**ი. ქარცივაძე** მოითხოვს კრება დაიხუროს და მაშინ იგი ციფრებით ხელში დაამტკიცებს—სრულს სისუსტეს ნ. რამიშვილის აზრისას,

კრება სწყდება. გარეშენი, მათ შორის პრესის წარმომადგენელნიც, გარდა ცენტრის ორგანოსი, მიდიან.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ, როგორც გავიგეთ, მიღებულია ნ. რამიშვილის წინადადება. ამ რიგად ამიერკავკასიის კომისარიატი ამ დღეებში გამოაცხადებს დეკრეტს, რომლის მიხედვითაც ჯარში უნდა გაწვეულ იქმნენ 19—25 წლისანი, აშკარა და ფარული (ორგანიზაციებში მომუშავენი) დეზერტირები, გარდა დედის ერთებისა და ოჯახის მარჩენალთა.

# მუშათა წერილები

## გაკვრით

ჯერ კიდევ სანატრელმა თებერვალმა გარკვევით დასვა საკითხი: „ან ომი, ან რევოლუცია"! მკაფიოდ, გადაჭრილად უნდა ჩაგვეთვალა ეს ორი უსაჭიროესი საკითხის სათანადოდ გადაწყვეტა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსების წინდაუხედაობამ, ისევ უდავო პირი სადავოდ გაგვიხადა და მას ძალაუნებურად უნდა ანგარიში გაუწიოს ქართველმა მუშამ და გლეხობამ. რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას, თებერვლიდან მოყოლებული, რომ თვალი გადავავლოთ, აშკარად გამოჩნდება ჩვენი ხელმძღვანელი წრეების სრული უსუსურობა, ეს იმიტომ, რომ ვერ მოხდა ვერც მუშათა კლასის, ვერც გლეხობის მასსაში ისეთი დიდი რეფორმა, რომელსაც მასიური მნიშვნელობა ჰქონდეს ამა თუ იმ დარგისთვის თუ არა კერძო საზოგადოებისთვის მაინც. მთელი ეს დღეები ბარიკადებზე გაათენა და დაღამა მუშა კლასმა და მას შეიძლება ეწოდოს „ღამეები ბარიკადებზე". მთავრობების მერყევი პოლიტიკა, ლენინ-ტროცკის შეჯახებები, სამარცხვინო გაქცევა კერენსკისა და მისი ძმების. აი მთელი ის ზედა პირი პოლიტიკისა, რომელსაც უნდა თავის დროზე ჰყოლოდა და ჩაჯად რუსეთის მშრომელი ხალხი, მაგრამ წინააღმდეგი აღმოჩნდა და მეთაურებმა თან ჩაითრიეს მშრომელი ხალხი ამ უფლებებისთვის ძიებაში და რევოლიუციაც დაექანა იმ უფსკრულისკენ, რომლის ლანდებიც საშინელ ნერვიულობაში აგდებს მთელს თოფქვეშ მდგარ მშრომელ ხალხს.

ავიღოთ კერძოდ ამიერკავკასიის გაბატონებული პოლიტიკური პარტია, დღიდან რევოლიუციის გამოცხადებისა მან ვერც ერთი ღირსეული რეფორმა ვერ განახორციელა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ რეფორმებს, დეკრეტების სახით, რომელიც კომისარიატმა უკვე გამოსცა. დემოკრატია თავის საქმეებს თითქოს გულგატეხილივით ეკიდება და მას არ სჯერა რასაც ღებულობს დღეს, მისივე კორძიანი ხელის ნაყოფს—იგი ეჭვობს, და პოლიტიკისთვის ყველაზე საშინელი მოვლენა ეჭვია!..

ეჭვებმა დაუკარგეს დემოკრატიას მთელი წლის განმავლობაში საუკეთესო წინამძღოლები, ეჭვებში ჩააქრეს მასში საუკეთესო რევოლიუციონური მებრძოლი ხელი და დღესაც ეჭვშია მშრომელი ხალხი: იყო ამიერკავკასიის კომისარიატი, ხარლამოვის მეფურობით, გაიყინა იგი ცენტრისკენ თვალის ჭერით დაარსდა სარევოლიუციო ცენტრი, არაფერი გაუკეთებია, მისმა სულის ჩამდგმელებმა, ეხლა ახალი ფორმა გამოიგონეს ამიერ კავკასიის კომისარიატის სახით მაგრამ მოქმედება იგივე დარჩა. მან ვერ მოგვცა ვერც ზავი, ვერც ეროვნებათა თავისუფლება და ვერც მუშათა და გლეხთა შრომის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. დღეს კი საკითხი ისევ იგია: ამიერკავკასიის საერთაშორისო დემოკრატიას ისევ თვალწინ უდგას ომისაგან განადგურებული ქვეყანა რომელსაც მან გადაჭრით ვერაფერი უთხრა, ერები საუკუნეებით დატანჯულნი ისევ ელიან თავიანთ უფლებებს და რევოლიუციაც ანარქიის ბურუსში თან და თან ეხვევა. სად არის ხსნა? ნუ თუ რევოლიუციონური რუსეთი უნდა დაიხრჩოს? ნუთუ მშრომელი ხალხის ზურგზე ეხლა ცენტრალურ სახელმწიფოს ჟანდარმერიისა და „ჩეტნიკების" მათრახები უნდა ათამაშდეს, ნუ თუ უნდა ისევ ოჯახები გაგვირყვნან, ციხე-კატორღები გაავსოს ჩვენი ამხანაგების ძვლებით? გამოსავალი მხოლოდ ერთია: რევოლიუციამ უნდა ომი დღესვე მოინელოს, საზღვრებზე უნდა აფრიალდეს თეთრი, სამშვიდობო დროშები,.. მაგრამ ამიერკავკასიის მენშევიკ-ბოლშევიკური ცენტრები მიგვითითებენ, რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე, სად ვეძიოთ იგი? რაკი ეხლანდელი კრება ბოლშევიკებს არ მოეწონათ და გარეკეს ხომ შეიძლება, ხვალ იგი მენშევიკ-ესერებმა გარეკონ—ვის უნდა უცადონ წვრილ, უფლება აყრილმა ერებმა? რევოლიუცია გადაჭრილი გაბედულების, რაინდობის ხანაა, იგი არ ითმენს ყოყმანს, ორგვარობას, ორპირობას! და ეს უნდა იცოდეს იმ მეთაურებმა, რომელნიც ტფილისის პროსპექტებზე ავტომობილებს დააქენებენ.. ჩვენ არ გვინდა, ჩვენი ყურები არ შეჩვევიან ავტომობილების სტვენას, ჩვენ უბრალო ხალხი ვართ, ხალხი მღაროების, ხალხი ჯურღმულების — ხალხი ქარხნების გრდემლებზე ხელ-დაკორძებულნი, მაშასადამე ცხადია ჩვენ გვშია, გვწყურია, ჩვენ უფლებები გვინდა! ჩვენ ყოყმანის და მერყევ რევოლიუციონერების წრეში, თოფებით ხელებში ქუჩებში ვათენებთ, ყინვასა და სიცივეებში თავისუფლებას ვსდარაჯობთ და უცდით რევოლიუციის დიდ დანაპირებს, ეს არის: **დაუყონებლივ ზავი! თავისუფალ ერების თავისუფალი კავშირი! მუშათა და გლეხთა შრომის მოწესრიგება.** თუ ამას ვერ გააკეთებს კომისარიატი და ისევ თავის მერყევი პოლიტიკით რუსეთისკენ—ცენტრისკენ ექნება თვალი, ჩვენ გეტყვით რომ ჩვენი უფლებები, ჩვენი იმედები, ჩვენი სიცოცხლე განსაცდელშია და ვეცდებით ხელიდან არ გაუშვათ კვამლიანი თოფები, რომ „მისმა ბრწყინვალებამ რუსეთის რევოლუციამ" თავისი ძლევა-მოსილი სიტყვა გაიმეოროს! ნურავინ ბედავს გადალახოს და თვალი აუხვიოს დემოკრატიულ ამიერკავკასიას, მარტო სიტყვასა და დაპირების ლამაზი დღენი წარვიდა —დრო გარკვეულ მოქმედებას ითხოვს! ნურავინ დაივიწყებს რუსეთის რევოლიუციის ავანგარდს, დღეს საქართველოს ბარიკადებზე მდგომს ქართველ დემოკრატიას!..

ს. კოლხიდელი.

# კიდევ „ერთობა" და სახალხო მასწავლებლები

„კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდებისო!" ამიტომ არ გვიკვირს რომ „ერთობა"-მ ჩვენი პატარა შენიშვნის საპასუხოდ (იხ. „სახ. საქ". № 145) კიდევ უფრო დემაგოგიური ხასიათის წერილით გამოილაშქრა სახალხო მასწავლებლების წინააღმდეგ (იხ. „ერთობა" № 12). თუმცა გვიკიჟინებს, რომ ჩვენ არ ვიცოდით, რას ნიშნავს სიტყვა „დემაგოგიური", მაგრამ სხვა სიტყვა ვერ მოგვინახავს იმის გამოსახატავად, რაც აშკარა ამხედრებაა ხალხისა მასწავლებლების წინააღმდეგ და რასაც სამწუხაროდ ადგილი აქვს „ერთობის" ფურცლებზე! ჩვენი ბრალდება, რომ „ერთობა" აბეზღებს სახალხო მასწავლებლებს, არა თუ ვერ უარყო გაზეთმა, პირიქით გაანამდვილა ახალ წერილში შემდეგი სიტყვებით: „ჩვენმა გაზეთმა ამ გაფიცვაში დაინახა დემოკრატიის წინააღმდეგ გამოლაშქრებაო!" ეს დაბეზღებაა მაშ რა არის?... ან კიდევ შემდეგი მარგალიტები: „ჩვენი დაბეზღება საჭირო არ არის, ხალხი უჩვენოდაც კარგად მიხვდება მასწავლებლების შეუწყნარებელ გამოსვლის მნიშვნელობასო." ან კიდევ: „მასწავლებლების დიდი ნაწილი სულსა და გულს ბიუროკრატიის სამსახურს ანდომებდნენ, ინსპექტორების ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ, დღეს ხალხმა თავისუფლება მიიღო, ეს თავისუფლება მასწავლებლებმაც მიიღეს, და აი სწორედ აქ აღმოჩნდა მათი პოლიტიკური ბავშობა, მათ სიმწიფის ეგზამენი ვერ დაიჭირეს და დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ გაფიცვა მოახდინეს, როცა მათ შეეძლოთ მოლაპარაკებით მოეწყოთ საქმეო". კომენტარიები ზედმეტია იმის დასამტკიცებლად, რომ მოყვანილი სტრიქონების დამწერნი ბრმა სიძულვილით არიან გაჟღენთილნი მასწავლებლებისადმი! ჩვენი აზრი, რომ „მასწავლებლები სულსა და გულს სახალხო საქმეს ანდომებენო" „ერთობამ" სადავოდ გახადა და სიტყვების კორიანტელი დააყენა მის გასაქარწყლებლად გაზეთმა მასწავლებლების დიდი უმრავლესობა ძველი რეჟიმის მონებად დასახა და ამით კიდევ ხელახალი იერიში მიიტანა ყველასათვის დაბალ ლობედ ქცეულ ადამიანებზე. მაგრამ იცოდეს „ერთობამ" რომ სახალხო მასწავლებლები, საერთოდ აღებული, სამწუხარო გამონაკლისი ბევრიც რომ იყოს მათში, მაინც ხალხის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავები არიან და იმათი მიწასთან გასწორება არც ისე ადვილია, როგორც გაზეთს ჰგონია! ვინ შეიტანა ხალხში შეგნება, თუ არა სახალხო მასწავლებლებმა? ვინ იყვნენ სპირიდონ მცირიშვილები, თუ არა სახალხო მასწავლებლები? ვინ ასწავლა ანბანი „ერთობის" უმადურ მწერლებს? ვინ ებრძოდა ინსპექტორ-დირექტორების პოლიტიკას, ვინ იყო გარუსების [illegible] წინააღმდეგ? [illegible] სახალხო მასწავლებლები და არა გაზეთი „ერთობა" ან მისი წინაპრები, რომელთაც ამის შესახებ ხმის ამოღებაც ნაციონალისტობა ეგონათ! რა გასაკვირველია, თუნდა მართალიც იყვეს ის აზრი, რომ მშიერ მასწავლებლებს, რომელთაც დღევანდელ თავისუფლების [illegible] „მშია მშიას" ძახილს უკრძალავენ, ძველი რეჟიმის დროს დიდი გმირობა ვერ გამოიჩინოთ? განა ის ჯარის-კაცები, რომლებიც წინად უსიტყვოდ ამსრულებელნი იყვნენ მეფის დამქაშების ბრძანებისა, დღეს რევოლიუციის ფუძედ არ ითვლებიან და მათზე არ ეყრდნობა თვით „ერთობაც"? თუ ეს ასეა, რატომ უნდა ავიღოთ ხელი სახალხო მასწავლებლებზე და მოვახვიოთ მათ თავზე ყოველგვარ ბრალდება? ვინ არ იცის, რომ მასწავლებლებს დიდი წილი უდევსთ ხალხის განთავისუფლების საქმეში! ეს ჩვენზე ნაკლებ არ იციან „ერთობის" თანამშრომლებმა, მაგრამ „ერთობას" ალბად სხვა გულის ტკივილი აქვს, რომელიც იმის დამოკიდებულებას სახალხო მასწავლებლებთან აშკარა მტრულ ელფერს აძლევს! კიდევ ერთი შეუწყნარებელი აზრი გამოსთქვა „ერთობამ": ბ. „ელვას" მსგავსი მასწავლებლები ჩვენს აზრს და სურვილებს ვერ გაიგებენ: ძველი წყობილების დროს მრავალმა მასწავლებელმა და საეჭვო ღირსების ადამიანმა მოიყარა აქ თავი (ე. ი. სკოლებში), „ავგიოსის თავლები" საფუძვლიან გაწმენდას მოითხოვენ, რაც დღეს საუბედუროდ შეუძლებელია"-ო! ასე ღრმად შესტოპა „ერთობამ" დაუნდობლობის მორევში, რაც იმის ბრალია ჩვენის აზრით, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა „ერთობის" მიმდევართა რიცხვს არ ეკუთვნის, ამიტომ დაარქვა „ერთობამ" „ავგიოსის თავლები" ჩვენს სკოლებს! „ავგიოსის თავლების" გაწმენდა სწორედ საჭიროა, მაგრამ არა იმ მხრით, როგორც „ერთობას" ჰგონია, არამედ იმ პირებისაგან, რომლებიც დემოკრატიზმის და მუშათა პარტიის დიად სახელს ამოფარებულნი, ჩვენი ცხოვრების მრავალ ნათელ მოვლენას შხამავენ და სწამლავენ! ამ ვაჟბატონებს ჩვეულებად ჰქონიათ სხვის სულში ხელის ფათური და, როდესაც ორივე ფეხებით გაებმიან თავისივე ნათქვამის ქსელში, პირადობაზე გადადიან და მოწინააღმდეგის გონებრივ-ზნეობრივ ავლადიდებაზე თვალ-დახუჭულნი მოურიდებლად მსჯელობენ, დღევანდელივით ნიანგის ცრემლებს ღვრიან, რომ „ელვასთანა" მასწავლებლები უდგანან სათავეში ჩვენ სწავლა-აღზრდის საქმესო!"-ო. არ გავაგრძელებ სიტყვას, თუ რა ავლა-დიდების არის „ელვა", ამას არ აქვს მნიშვნელობა, მხოლოდ არ შემიძლიან ბოლომდე არ მივყვე „ერთობის" ტყუილებს. მე ვამბობდი: თუ „კომისრებ-მილიციონერებს" აძლევენ თვეში ოცდახუთ-ორმოც თუმნებს, მასწავლებლებს ვერაფერ წყაროს აღმოუჩენენ მეთქი?" ვამბობდი საერთოდ კომისრებ-მილიციონერებზე, სადაც უნდა მსახურებდნენ ისინი, „ერთობა" კი გვიდავება: „სოფლის კომისარები და მილიციონერები უჯამაგიროდ მსახურობენო". ტყუილი, აშკარა ტყუილი! სოფელშიდაც ყოფილა „ელვა" და „ერთობაზე" ნაკლებ არ იცის სოფლის მდგომარეობა!

სახალხო მასწავლებლები, რომელთა მე დაბაში, სოფელს რომ ცოტა გამოვშორდეთ, ოთხჯერ-ხუთჯერ ნაკლებ ჯამაგირს იღებენ, ვიდრე საოლქო კომისარი ან და მისი მილიციონერები! ჩვენ დავიჭირეთ „ერთობა" ტყუილში წინა წერილში, რომ სახალხო მასწავლებლები ოც თუმანს კი არა ხუთ ან შვიდ თუმანს ღებულობენ თვეში თქო, რაზედაც „ერთობა" ბრძნულად გაჩუმდა, და ვიმეორებთ, რომ მართლა ოცი თუმანი ჰქონდეთ მასწავლებლებს თვეში, ისინი აღარ გაიფიცებოდნენ და არც რამეს ითხოვდნენ. რომ მასწავლებლებს ნამდვილად ჯამაგირი არ მომატებიათ, ეს იქიდანაც სჩანს რომ თვით „ერთობა" ამბობს, „პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილია შარშან ოქტომბრიდან, ოცდა ერთი თუმანი ეძლიოთ მასწავლებლებს თვიური ჯამაგირიო!". მხოლოდ პრინციპიალურად, საქმით ჯერ არ განხორციელებულა! მასწავლებლება გაფიცვით სცადეს ამის დაჩქარება. „მოლაპარაკებით მოეწყოთ საქმეო" ამბობს „ერთობა". ამის საპასუხოდ უნდა ითქვას, რომ მასწავლებლების სულმოკლეობა არ გამოუჩენიათ, ისინი თვეობით თვის განმავლობაში აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, იობის მოთმინებით უმკლავდებოდნენ შიმშილს და წყურვილს, მაგრამ მოთმინების ძაფი შიმშილის ხელმა გაწყვიტა და მასწავლებლებმაც კანტი-კუნტად გაფიცვა გამოაცხადეს. ეს ჟინიანობით არ მოსვლიათ: შიმშილი ყოვლად შეუძლებელია დღეხანს მოითმინოს კაცმა, და მშიერ კაცს თუ დახმარებას არ მისცემ, არ უნდა დასწიხლო მაინც!

ვიმეორებთ, მასწავლებლებს სრული უფლება უნდა ჰქონდეთ გაფიცვისა, როგორც ყოველ დარგის მუშებს, მაგრამ თუ ამ დღეებში უკვე ნამდვილათ მოემატებათ ჯამაგირები და ამას ავტორიტეტული ორგანო გამოუცხადებს მათ, მასწავლებლები კიდევ მოიცდიან, გაფიცვას შეწყვეტენ. მხოლოდ დატანება და ფეხების დაბრახუნება კი არ არის საჭირო, როგორც ამას „ერთობა" სჩადის, არამედ იმათ მდგომარეობაში შესვლა და იმათთვის ხელის გაწოდება!

ელვა.

გამომცემელი
[illegible]
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

**საბუღალტრო კურსები**
გ. კ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოევის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ექიმი
**ე. ლ. შალამბერიძე**
იღებს საზებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
**გ. გ. მეჰრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა.
შინაგან ავადმყოფობა—ჰლექი და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—91. 683

ექიმი
**ვ. მუსხელიშვილი**
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ დამის 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიძისა. ტელეფ. 5—71. 1030

ექიმი
**თიკანაძე**
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11-82. 1003

ექიმი კბილისა
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
**ზ. გ. ნარიმანოვი**
ვენერიულ, „კანის", ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
**ი. გ. კონიევი**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის უბნის ქ., № 3. 55

ექიმი
**დ. შარაშანიძე**
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
**პავლე [illegible]**
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინა[illegible] [illegible] სად. 6—8 ს. მელიქოვის ქ. 12, [illegible] ნი. 100

ექიმი
**ლ. დ. ფავლენიშვილი**
იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 [illegible] მისამართი: კუთხე მუხრანისა და [illegible] რატიონის ქუჩისა № 23/31. 100

ექიმი
**ს. ზ. მირზოევი**
უფროსი ორდინატორი ტფილისის [illegible] ლთა საავადმყოფოსი, იღებს $1^1/_2$—[illegible] ს., გარდა კვირისა. მისამართი: [illegible] გოევის ქ. № 1. ტელ. 16—67. 10[illegible]

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილ[illegible]**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნე[illegible] ლებიან ავადმყოფთ, ყოველ დ[illegible] კვირის გარდა საღამოს 5—7 საათ[illegible] დე, ზუბნის ქუჩ. № 41. ტელ[illegible] 14—09. 1[illegible]

ექიმი
**შ. ა. მიქელაძ[illegible]**
მიიღებს შინაგან და ბავშვთა [illegible] ლებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე [illegible] მოს 6—7 საათამდე, მიხეილის [illegible] პექტი № 117.

ექიმი
**მ. წინამძღვრიშვილი**
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხა[illegible] მედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ[illegible] კლინიკებისა,
იღებს ავადმყოფებს
**ახალ ბინაზე**
გულისა, ფილტვისა და სისხლ[illegible] სნეულებიანს სპეციალურად.
საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღ[illegible] გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის" პირდაპირ. 1029

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. [illegible] შინაგან და [illegible] სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1053

**ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ზ. გ. აგასაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1001

**დაწუნებული ცხენები** ტფილისის სატრანსპორტო საცხენო განყოფილებისა გაიყიდება შაბათს 21 იანვარს, ს ჯარო ვაჭრობით, ნავთლუღში, კომენდანტის საეტაპო მოედანზე. 91

**„სახალხო საქმი"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| ჯავახიშვილი ივ.— „ქართველ ერის ისტორია" ორივე ტომი | 6 მ. |
| ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I | 4 „ |
| გრდემლი წ. I | 3 „ |
| ქართველი მწერლები. | 2 „ |
| უცხოეთის „ | 2 „ |
| შიუკაშვილი— „მეგობრობა". | — 60 კ. |
| ჯანაშვილი— „თამარ მეფე". | 1 „ 20 „ |
| ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო". | — 40 „ |
| ღლონტი თ. რუსული წიგნაკი— „ფედერალიზმი". | — 50 „ |

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".